კვალი

X. ყოველკვირეული გაზეთი. X.

№ 37 კვირა, 8 სეკტემბერი 1902 წლისა. № 37

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კაპ. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, საჭიორნის ქუჩაზე, № . ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція. «КВАЛИ».

შინაარსი: ცხოვრება და მეცნიერება, დ. თ-სა.—სხვა-და სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—წერილები, მოთხ. ია ეკალაძისა.—რუსეთის ცხოვრება.—სამინისტროს განკარგულება.—საზღვარ-გარეთ.—ლიტერატურა და ეკონომიური პირობანი.—მეფე ვახტანგ მე-VI-ს კანონები და ქართველი ქალი, ა. ხახანაშვილისა.—მონობა და ბატონ-ყმობა.—მასწავლებელი მოთხ. ა. ჩეხოვისა თარგ. ა მითაიშვილისა.—განცხადებანი.—

„კვალის“ რედაქცია გადავიდა საჭიორის ქუჩაზე, რევაზოვის სახლი № 35.

ცხოვრება და მეცნიერება.

I

ოც წელზე მეტია მას აქეთ, რაც ევროპის მეურნეობა დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. ამის მიზეზი, როგორც ყველამ უწყის, არის მეურნეობის აღორძინება ინდოეთში და ამერიკაში. ადრე მსოფლიო ბაზარი მარტო ევროპიელთა ხელში იყო და მათ ნაწარმოებს დიდი ფასი ქონდა. მაგრამ, აი მსოფლიო ბაზარში შეიქრა ინდოეთ-ამერიკის ნამუშავარი; ფასები დავარდა; კრიზისი მოედო ევროპის მეურნეობას; გახდა ეს კრიზისი ხრონიული. მრავალი ეკონომისტი დღეს იმ აზრისაა, რომ ევროპის მეურნეობა ამ კრიზისს თავს ვერ დააღწევს. რამდენათ ჭეშმარიტია ასეთი შეხედულობა,—ამას შემდეგ დავინახავთ. ეხლა კი მხოლოთ აღვნუსხავთ რამოდენიმე ამ კრიზისის საყურადღებო შედეგებს.

აგრარულ კრიზისმა გააკოტრა მრავალი მსხვილი და წვრილი მეურნე; ბევრგან მიწის ფასი შემცირდა; ინტენსიური კულტურა, ე. ი. უფრო რთული მეთოდებით და ძვირფასი მაშინებით მიწის დამუშავება საზარალო შეიქნა, რადგან შემოსავალი არ ფარავდა, არ შეესაბამებოდა ხარჯს. საიჯარადრო ფასმაც დაიწია. ამ დროიდან კაპიტალი გაურბის მეურნეობას. მეურნეობის ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობას ვერც პროტექციონიზმა უშველა (სახელმწიფოსაგან დახმარება-მფარველობამ). პროტექციონიზმა საერო მეურნეობა ვერ ააყვავა და მსხვილი მეურნეები მხოლოთ მათხოვრობას დააჩვია. აგრარული კრიზისი დღესაც მძვინვარებს ევროპაში.

მეურნეობის დაქვეითებამ, წარმოების ტეხნიკურათ უკან დახევამ, აგრარულ რყევა-ნგრევამ წამოაყენა ახალი ელემენტი. ეს არი წვრილი მეურნე. მიწის ყიდვა და იჯარით აღება გაადვილდა მრავალი ხალხისათვის, რადგან ამათ „მოგებას“ ხელფასი შეადგენს; გაჭირვებული გლეხი ეძებს სამუშაოს, რომ თავისი აუცილებელი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს. ამიტომ მას შეუძლია მეტი იჯარა გადაიხადოს, ან უფრო მეტი მოითმინოს და მეურნეობას თავი არ დაანებოს. მსხვილ მეურნემ თავის ნაწარმოებიდან უნდა აღადგინოს ის, რაც დახარჯა,—ამაში შედის მისი მუშების ხელფასიც,—გარდა ამისა მან უნდა აიღოს: შესაფერი პროცენტი დახარჯულ ფულზე, მიწის იჯარა, დასაზღვევებელი, აგრეთვე საქმის გასაუმჯობესებლათაც რამე გადადვას და ბოლოს ცოტა მოგებაც უნდა აიღოს. ეს მარტივი ჭეშმარიტება ყველამ კარგათ იცის, ვისაც კი პოლიტიკურ ეკონომიაში სახელმძღვანელო მაინც წაუკითხავს. მეურნე-გლეხი კი სულ სხვა პირობებშია. მისი მოგება—მისი შრომის ფასია რადგან ის პირადათ აწარმოებს მიწას. გარდა ამისა, ის ცხოვრებიდან არ თხოულობს იმდენს, რამდენსაც, მაგ., თხოულობს რომელიმე მსხვილი მეურნე. ამიტომაც მეურნე-გლეხის უპირატესობა-გამძლეობა—მის სისუსტე და უკულტურობაშია. ასეთი სისუსტის მეოხებით გლეხობაში გამრავლდა ევროპაში ამ კრიზისის პირველ ხანაში დამოუკიდებელ მეურნეთა რიცხვი. აი, ერთი შედეგი ევროპაში მეურნეობის ცუდ პირობებში ჩადგომისა.

რასაკვირველია, ასეთი მდგომარეობა უნდა შეცვლილიყო და კიდევაც დღეს სულ წინაალმდეგ მოვლენას ვხედავთ. კრიზისს ბოლო ჯერაც არ მოღებია, მაგრამ მეურნეობას კაპიტალი უკვე აღარ გაურბის. მსხვილი მეურნე იდგამს ფეხს და შესაფერ ალაგს იჭერს. მეორე მხრით, დღეს წვრილ მეურნეთა რიცხვი ყველგან საკმარისათ დიდია და მათ არსებობისთვის ბრძოლას—გარდა ზევით მოხსენებულ პირობათა ხელს უწყობს ათასნაირი ფინანსიური დაწესებულებანი, უფრო ხშირათ სპეკულიატიურ მიზნით დაარსებულნი. დღეს წვრილი მეურნე სხვა და სხვა გვარი ამხანაგობების საშუალებით იცავს თავის არსებობას და, ზოგიერთ ეკონომისტების აზრით, მომავალში მოედანიც მას უნდა დარჩეს.

რომელმა უნდა გაიმარჯოს—წვრილმა თუ მსხვილმა მეურნეობამ? აი კითხვა, რომელიც თანამედროვე ეკონომიურ ლიტერატურაში უმთავრეს საკამათო საგანს შეადგენს დ

ორმლის შესახებ ჩვენ დღეს ხელთა გვაქვს ვრცელი ლიტერატურა.

ვინემ ამ კითხვის გამორკვევას შეუდგებოდეთ ჩვენ გვსურს მივუგოთ პასუხი მეორე კითხვაზე; აგრარული კრიზისს ევროპის მეურნეობაში ბოლო მოეღება თუ არა?

ამ კითხვის გადაჭრა არც ისე ძნელია. ეს კრიზისი ევროპაში გამოწვეული იყო ახალი ქვეყნების კონკურენციით. ამ ახალ ქვეყნებს საქონლის ევროპიელებზე უფრო იაფათ გაყიდვა იმიტომ შეეძლო, რომ ევროპაში მიწა მეტი ღირდა, დამუშავება უფრო დიდ კაპიტალს თხოულობდა, ვინემ ახალ ქვეყნებში. მაგრამ ამერიკაში თავისუფალი მიწები შემცირდა, მიწას მეტი ფასი დაედო და თანდათან ინტენსიური კულტურის შემოღებაც საჭირო შეიქნა. ამნაირათ ამერიკაში წარმოება ახლო მომავალში ისეთ პირობებში ჩავარდება, რომელშიაც უკვე დიდი ხნით იმყოფება ევროპის მეურნეობა მაშინ—და ეს დრო შორს არაა—მაშინ ევროპაში აგრარულ კრიზისს ბოლო მოეღება.

დ. თ.

(შემდეგი იქნება).

სხვა-და-სხვა ამბები.

კავკასიის სამთო მართველობამ სამთო დეპარტამენტში წარადგინა ჭიათურის ქვა-ნახშირის მწარმოებელთა შუამდგომლობა, რომლითაც თხოულობენ ნება დაერთოთ მეხუთე კრების მოწვევისა, ამ წლის ოქტომბრის გასულს, ან ნოემბერის დამდეგს. კრებას განსახილველ საგნებათ ექნება: ჭიათურაში ხაზინის დაარსება, ქიმიური ლაბორატორიის და მარგანეცის გასასუფთავებელ ქარხნის გახსნა.

ფრანგულ აქციონერულ შაგალიელიარის საზოგადოებამ ფინანსთა სამინისტროში წარადგინა შუამდგომლობა და ითხოვს მიეცეს ნება ბორჩალოს მაზრაში ქვა-მადნის ექსპლოატაციისა.

განზრახულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სესიის პროგრამა უკვე სავსებით გამოირკვა. სხვათა შორის განხილულ იქნება კითხვა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა შეერთების შესახებ, დაარსება სასოფლო-სამეურნეო პატარ-პატარა საზოგადოებისა, სოფლის მუშების უზრუნველ ყოფა მანქანებზე მუშაობის დროს უბედურ შემთხვევებისაგან, შესახებ თესლეულობის გაყიდვის კანტროლისა და მეურნეთა მიერ სოფლის ნაწარმოების გაყიდვისა სახელმწიფო საჭიროებისთვის ან და ჯარისთვის.

სატყეო დეპარტამენტს განუზრახავს კავკასიაში უმაღლეს სატყეო სასწავლებლის დაარსება.

უმაღლესათ ნაბრძანებია ვარშავის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში დაარსდეს სამთო განყოფილება 4 წლის კურსით. ამ განყოფილებაში კურს დასრულებულთ მიეცემათ სამთო ინჟენერის წოდება, ექნებათ უფლება სამთო წარმოების და ფაბრიკების მართვისა.

ამიერ კავკ. რკინის გზის ნავთის მილების გამგ. კანტორა იხილავს პროექტს შესახებ იმისა, რომ ბათუმიდან გადატანილ იქნას ნავთის საწყობები.

სატუსაღოთა გამგე კომიტეტს განუზრახავს ორთაჭალის სატუსაღოშიაც გამართოს ტუსაღთათვის სახელოსნოები, სადაც სხვა-და-სხვა ხელოსნობა უნდა ასწავლონ ტუსაღებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის თავად-აზნაურობამ გადასწყვიტა: უმაღლესად ნაბოძევი ფული მოახმაროს სასწავლებლის გახსნას.

ამ დღეებში გაიხსნება სოფ. მეჯვრისხევში (გორის მაზ. სასოფლო ქსენონი.

წარსულ ოთხშაბათს ავჭალის სახალხო აუდიტორიაში ქართული სახალხო თეატრის რეჟისორმა ბ-ნმა ნიკო გოცირიძემ გამართა გამოსაცდელი წარმოდგენა სცენაზე ახლათ შემსვლელთათვის, რამდენათაც კი შესაძლებელია ნაწყვეტ-ნაწყვეტ როლებში სავსებით დაიხატოს არტისტის ნიჭი, იმ სალამოთი ყურადღება მიიქციეს (და შესაძლებელია საბოლოვოთ გამოადგენ სახალხო სცენას) შემდეგმა პირებმა: ბ-ნნ. სონაძემ, მაჭარაძემ, ჭელიძემ, სალაყაიამ, ბაკურაძემ, იმედაშვილმა მომცემლიძემ, კოპაძემ, ხავთასმა და არაჯელოვმა.

ქალები ყველა სუსტი იყო.

უმაღლესათ ნაბრძანებია: იმ პირთ, რომელთაც მიეცემა ან აქნობამდე ქონდა მიცემული კავკასიაში საავარაკო მიწები იჯარით, შეუძლიანთ შეიძინონ საკუთრებათ შემდეგის პირობებით: თუ ამ მიწებზე დასდგამენ შენობებს ხელშეკრულების პირობების თანახმათ. მიწის ფასი იქნება წლიურ იჯარაზე ოცჯერ მეტი, რომელიც შეუძლიანთ მყიდველებს გადაიხადონ ათი წლის განმავლობაში.

კორესპონდენციები.

ს. ლანირი. (ქუთაისის მაზრა). ეს სოფელი შესდგება შემდეგი საზოგადოებისაგან. ლანირი, ქვიტირი, პატარა ჯიხაიში და გვაზოური. მცხოვრებთა რიცხვი შეიდას კომლამდეა. აქ არსებობ ერთ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი ეხლა ორ-კლასიანათ დამტკიცებული, რამდენიმე სამრევლო შკოლა და სასოფლო ბანკი თერთმეტ აგვისტოს ამავე სოფლის მამასახლისის აბზიანიძის და მასწავლებელ ქუთათელაძის მეთაურობით მოხდა საზოგადო ყრილობა ახლათ დამტკიცებულ შკოლის შენობის ასაგებათ. ორი საათის შემდეგ საზოგადოებამ სიამოვნებით მიიღო მამასახლისის და მასწავლებელ ქუთათელაძის წინადადება და ერთ ხმათ დაადგინა სასწავლებლის შესაფერი შენობის აგება და მოწყობა, რომელიც მიანდო ყრილობამ მის მიერ არჩეულ კომისიას.

იმედია, ადგილობრივი ინტელიგენცია იზრუნებს სამკითხველოს დასაარსებლათაც და ამ კეთილ საქმისთვის სხვებიც არ დაიშურებენ თავიანთ წვლილს, რადგანაც მსურველნი მოიძებნებიან.

იმავე დღეს მამასახლისმა გამოაცხადა ყრილობაში, რომ ოთხი კომლი გადმოსახლებულია სოფელ ჭაგნიდან ლანირის საზოგადობაში და სურთ მიიღონ მონაწილეობა სასწავლებელში. ყრილობამ თანხმობა გამოაცხადა

ხაინდრაველი.

დ. ჭიათურა. (შორაპნის მაზრა). უკანასკნელ დროს გახშირდა ჭიათურაში წარმოდგენების მართვა და გახშირდა არა ისე, როგორც სხვა რომელიმე დაბა-სოფლებში სცენის მოყვარეთაგან, არამედ ჩვენის ნიჭიერი და სასიქადულო მსახიობის ვლ. ალექსი მესხიშვილის მონაწილეობით და გამგეობით, რაიც დიდი სასიხარულო დარჩა ყველასათვის; წარმოადგინეს სხვათა შორის შემდეგი პიესები: ,,ქართველი დედა‘‘, ,,კრეჩინსკის ქორწინება‘‘, ცხოვრების გმირი‘‘ ,,და-ძმა‘‘, ,,ურიელ-აკოსტა‘, ,,სამშობლო‘‘, ,,ბედს ვერ წაუხვალ‘‘, ,,ლეკის ქალი გულჯავარი‘‘ და სხვ. საზოგადო-

ბაც ეოველთვის შეძლების და გვარათ არ დაკლებია წარმოდგენებს და მუდამ დიდის აღტაცებით ეგებებოდა... უკანასკნელათ გამართეს ორი წარმოდგენა ვდ. მესხიშვილის გამგეობით და მონაწილეობით 24-ს და 25-ს აგვისტოს.

24-ს აგვისტოს წარმოდგენილ იყო ,,ბედს ვერ წაუხვალ'' დრ. 4 მოქ. გადმოგეთებული მ. ნასიძისა. მონაწილეობას ღებულობდენ; ქქ. ივანიძე, მდივანი და გივიშვილი. ბბ. მესხიშვილი, ქუჯი, მირიანიშვილი, ზარდალიშვილი და სხვანი... ეს პიესა სამშვალო ნიჭის მსახიობმა რო იოამაშოს, თქვენ წინ გადიშლება ერთი რადაც უაზრობა და იძულებული გახდებით პიესის დასრულებასაც არ დაუცადოთ, მაგრამ 24-ის აგვისტოს წარმოდგენაზე ეს არ გვეოქმის. ბ-ნი ვდ. ალექსი მესხიშვილმა თავისი ნიჭით შთაბერა სიცოცხლის სული, რომელსაც ეველა მოთამაშეები ხელს უწყობდა, საერთოთ პიესა ძალიერ კირგათ ჩაატარეს, რის გამოც ბევრი ტრემლებიც დაიღვარა მაყურებლებთა შორის. 25-ს აგვისტოს ითამაშეს ,,ლეკის ქალი გულჯავარი'' ისტ. დრ. აქვ. ცაგარლისა. ეს დრამა ისტორიული გახლავთ და მით განსხვავდება სხვა ჩვენ ისტ. დრამებიდან, რომ სცენაზე ვერ დაინახავთ უაზრო დრიალს, თოფზარბაზნების გრიალს და სხვა ამისთანა უაზრობას. პიესა დაწერილია იმ აზრით, რომ საზოგადოებას გაეცნოს მთის ქალის სული და გული. მთელი პიესაც ამ ქალზეა დამყარებული, ასე რომ დანარჩენი მომქმედი პირები ძალიერ მკრთალთ არიან დახატული და თუ არიან ისიც იმიტომ, რომ გულჯავარის მოქმედება უფრო ნათლათ დაიხატოს.

გულჯავარის როლს თამაშობდა სულ ახალ-გაზრდა მსახიობი ქალი ჯერეთ სამის წლის სცენაზე გამოსული ქ-ნი მ. მდივანი. სიმართლე გითხრათ ჩვენ იმედი არ გვქონდა, რომ გამოუცდელი ახალ-გაზრდა მსახიობი ქალი დაგვიხატავდა გულჯავარის იმ გრძნობებს, იმ სიძულილს და სისხლის სმის გაუმაძღრობას თავის მტრის წინააღმდეგ. ის დრამა, ვეფხვი, რომელიც ორმოც ამოღებულ ხმალს მარტო წინ ეგებება თვალ დაუხამხამებლათ; ის არის აგრეთვე გმირი სულით, მისი ეოველივე გამოთქმა, მისი მიხვრა-მოხვრა მასში ხატავს რადაც დიდებულებას, რომლის წინაშეც ეველანი თავს ხრიან და მორჩილებას უცხადებენ. მაგრამ ამასთან იგი შორს გამწვრეტიც არის, უცაბედათ, სისწრაფით მოიფიქრებს, თუ როგორ და რითი შეიძლება მეტი სისხლის დაღვრა და მტრებზე ჯავრის ამოყრა, ის უახლოვდება საუკეთესო ქართველთ ჯართა მოწინავე მეომარს აბამს ტრუ ტრფიალების ბადეში, რომ როგორმე მოაკვლევინოს ირაკლი მეფე და მერმეთ იმასაც გაუმზადოს სამარე. საქმე კარგათ მიდის, თითქო განგებაც ხელს უწყობდეს, ირაკლი მეფეც ნადირობიდან გზა დაბნეული თითონ მიდის გულჯავარის სახლში ღამის გასათევათ—გულჯავარ ვერა ცნობს ირაკლის და ღებულობს, როგორც ერთი მისი ამალის მხლებელთაგანი და აძლევს ბინას. მაგრამ შემოდის რამაზი (მირიანაშვილი), რომელიც გულჯავარის სიყვარულით გადარეული მოელი დღე სცდილობდა თავის მეგობარი და საყვარელი მეფე მოეკლა, მაგრამ ვერ მოახერხა. ეხლა კი აქ ხედავს მარტოს მძინარეს... რამაზი ეუბნება გულჯავარს მისს ვინაობას. გულჯავარი სიხარულიით კინაღამ წკეიდან შეიშლება, სტაცებს ხელს რამაზს და მიეკვს ირაკლის მოსაკლავათ, თითონაც ამოდებულის ხანჯლით მისდევს იმ აზრით, რომ თუ ვინიცობაა რამაზმა ვერ გაბედა, ან ხელი აუკანკალდა, მე თითონ მოვუსპობ სიცოცხლესო. მიდიან ორნივე სანთლით ხელში, აი მიუახლოვდენ ირაკლის საწოლს და უნდა დასცეს ხანჯალი გულში, რომ ლეკანი (ქუჯი) თავის მხლებლებით შემოვარდება ფანჯრიდან, რომელმაც ეველაფერი იცოდა და იხსნის სიკვდილისაგან საყვარელ ბატონიშვილს. გულჯავარ ბრაზისაგან თითებს იკბენს, რომ ასეთი დრო დაკარგვინეს შურის საძიებლათ და უნდა ლეკანთან ერთათ ბატონიშვილს მოუსპობს სიცოცხლე. მაგრამ ვერაფერს ხდება. ირაკლი უბრძანებს. როგორც მოდალატე შეიპყრონ, გულჯავარ, [illegible] ნებდება და იქვე თავს იკლავს. თავს იკლავს აგრეთვე რამაზიც, რა კი ვეღარ უძლებს მეფის გულ გამგმირავ სიტყვას...

აი, ეს როლი შესრულა ქ-ნმა მდივანმა და როგორც ზემოთ მოგახსენეთ იმედი არ გვქონდა, რომ ეს როლი არა თუ [illegible] ასამად მეათედაც დაესურათებინა ჩვენთვის, რადგანაც არ [illegible] სხვა უფრო გამოცდილი და ნიჭიერი მსახიობი ქალი გვენახა და საკვირველიც არ არის, რომ ჩვენი ეჭვი უადგილოთ არ ეოფილიეო. მაგრამ ჩვენ წინ იდგა არა გამოუცდელი მსახიობი, რომელიც ძალა-უნებურათ ასრულებს თავის როლს, ასამად ჩვენ ვხედავდით ნამდვილ ავტორის მიერ დასურათებულ ლეკის ქალს, მთიულ თავისუფლებით შეჭურვილს, გმირს, სულით ძლიერს და გულით ამაყს.

ეოველივე მისი მიხვრა-მოხვრა, ხელის გაქნევა ჩვენ გვიხატავდა ნამდვილ მთიულ შეუდრეკელ არწივს. მისი გაცეცხლებული და გაელვარებული თვალები შიშის ზარს ცემდა, როგორც მის ახლო მახლო ისე გარეშეთ და ძალა უნებურათ აღძრავდა მასში პატივისცემას, მაგრამ მისი ამავე დროს შუქმფენი ალერსიანი გამოხედვაც მზის სხივებივით ეფინებოდა ეველას და აღძრავდა მასში უზომო სიყვარულს. ერთი სიტყვით ქ-ნმა მდივანმა თავის თამაშით გაგვაკვირვა, რადგანაც ასეთ ტოტა ხნის განმავლობაში ესეთი დიდი ნაბიჯი იშეიათია და ჩვენ ვისურვებთ წრფელი სულით და გულით, რომ ეს ნაბიჯი წინ-წინ წასულიეოს.

საზოგადოება დიდი კმაეოფილი დარჩა და ტაშის ცემით და ვაშას ძახილით დაჯილდოვეს, ზოგიერთ ახალ გაზრდობამ ნიშნათ პატივის ცემისა საჩუქარიც მიართვა სცენაზე.

ა. კობიძე.

—

საჩქარო. ,,ეკვლის'' № 25-ში ჩვენ მოვეხსენიეთ, რომ ნოტიო ბინები, უხეირო სასმელ-საჭმელი, დაბაში უსუფთაობა და სიდარიბე სულს უხუთავს აქაურს ხალხს. ახლა დაწვრილებით განვმარტოთ ეს კითხვები. შუა დაბაში ადმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გაჭიმულია ერთი ერთი გრძელი და ძალიერ ვიწრო ქუჩა; ქუჩის ორივე ნიპირას აშენებულია დუქნები და დუქნების ზევით საცხოვრებელი ბინები; სახლები, გარდა თ. წერეთლებისა, თითქმის სულ ხისაა; გამოფუდარალებული, აყოწილაკებული მაღლა, გადახურული კრამიტითა და ეავრით. ურიების უბანში კი ბევრ სახლს სულ არა აქვს სახურავი და რომელსაც აქვს, ისიც ნახევრათ გადამძვრალია, ან სულ დახავსებული. შიგნით ოთახები ან შელესილია და ან კედლები ბრდაბერ შეჩითული: ზამთარში თუმცა ბუხრებში ცეცხლი უნთიათ, მარა რადგან ქარი ადვილათ შედის სახლში, ცეცხლი თავის მნიშვნელობას კარგავს და სიცივე სულს უხუთავს კაცს. სოფლებიდან სანოვაგე ბევრი შემოაქვთ აქ ბარსკეკვირობით, რაცა ვაჭრობა იმართება: ეველი, კვერცხი, ქათამი, რძე, ღვინო, სიმინდი და სხვა. ამათ დაბაში შემოტანამდი, უმთავრესათ ჩარჩები ეიდულობენ ჩადის ფასათ და მერე მომხმარებლებზე ერთი ორათ ეიდიან. კარგა ჩარჩებისა რიგიან ვაჭრობის გამართვას ძალიერ ეთვრენებს სავაჭრო მოედნისა და ეანთრის უქონლობა. მტირე რამის ასაწონათ ათი დუქანი უნდა შემოიარო. სასწორისა და მოედნის გამართვა არც იმოდენა ხარჯსითხოვს, როგორც გონიათ, მხოლოთ საჭირო წადილი და სიქმის დამწყები. ხშირათ ბაზარზე შეხვდებით ლამპა-აროლებულ სანოვაგეს, მარა ფარიბები ამას არავითარ ეურადღებას არ აქცევენ ეიდულობენ და რა შედგეს მოეკუბა მას, არ დაეძებენ. ხორცს ეოველთვის ვერ იშოვის კაცი, რადგან ეოველ დღე საქონელი არ იკვლის; თუ დაკვლეს, მაშინაც ისეთ დაკვლეს, რომელსაც ფეხზე დგომა არ შეუძლია, ისეა გაძვალ-ტყავებული. ხშირათ სამი დღის ხორცს ეიღებენ. როგორც ხორცსა, ისე ხურზე ნიხრა არ აქსებობს: ღღეს რა ხუთ მაურათ იეიღება ოყა ხორცი, ხვალ ექვსათ და მერე მეტათ. ბირველი ხარისხის ოყა ხური 12—15 კაპიკათა და მესამეს 9—10 კაპიკი. რომ რაგინათ აცხობდენ ხურს, საძვირეს არ დაეძებს კაცი; როგორც მეთონეები ისე მეფურნეები ტეეამალეო [illegible]

ბენ. საქართველოში, მე არ მგონია, იყოს ისეთი უსუფთაო დაბა, როგორიც სიჩხერეშია. არავითარ საპინძურეს არ არიდებენ ქუჩას და არც ვინმე გვის მას, რას გამო მაზე გაკვლა შეუძლებელია ტხვირზე ხელის მიუფარებლათ. ურიების უბანში, მაინც ისეთია აურიოლებული სუნი ტრიალებს, რომ სულა შეკეხუთებათ, თუ მალე არ გაცალდით აქაურობას. ამ საბინძურემ წელს ზაფხულში ურიებს სხვა და სხვა სენი გაუჩინა და ბევრი ამსხვერპლა. უსუფთაობასთან რთათ აქაურ ურიებს საღარიბე უხუთავს სულს. მე არ მგონია, ასეთი დარიბი ურიები ჩვენში კიდევ სადმე ბინადრობდენ. ექვსი-შვიდიოდე ურიას მეტი ერთ თვალიანს მაწურს სახლში ცხოვრობენ და ხშირათ დღიურ საზრდოსაც მოკლებულნი არიან. დღიურ საზრდოს ქართველ-სომხებიც ბევრია მოკლებული, მსოლოთ იმ განსხვავებით, რომ ჩვენებს თუ გაუჭირდათ ქურდობით ირჩენენ თავს ურიები კი ამას კერ ახერხებენ. სახლებისა, დუქნების და სამზარეულოების გატეხვა და იქიდან ნივთების გატაცება აქ ბევრს ჩვეულებათ ქცეულა. ბ. ბიჭია სუცეშვილს დამის რაინდებმა მთელი სახლი დაუცარიელეს, მასწავლებელს ჯ-ლს ამას წინათ სამზარეულო გუტესეს და 25 მანეთის საღირალი ჯურჯეული წაიღეს.

საყულიელი.

—

Ძ. ᲗᲔᲚᲐᲕᲘ. რადგან ბევრი თხოულობდა რო დაწვრილებითი ანგარიში მიეწოდებინათ გაზეთის საშუალებით აქაური მიბლიოთეკის შესახებ სიმართლის ადსადგენათ ვეეჭდავთ ამ ანგარიშს, რომელიც გადმოდებულია გამგეობის მიერ დამტკიცებულ ანგარიშის ნამდვილის ბირიდან.

შემოსავალი

1, 1901 წლის საწყერო ფული, 96 წყვრისაგან 96 მ. 2, წარმოდგენებიდან და საბაგშო დიდიდან, 276 მ. 36 კ. 3, ერისთავის ბიოგრაფის და წიგნების მოგება 22 მ. 40 კ. 4, გასაყიდი წიგნები და სურათები 15 მ. 26 კ. ჯამი 410 მ. 2 კ.

ხარჯი 1901 წლისა.

1, ჟურნალ გაზეთები 57 მ. 85 კ. 2, საკმები 1 დუკანი 22 მ. 20 კ. 3, შეკეთება ავეჯეულობისა 14 მ. 75 კ. 4, წვრილი ხარჯი 12 მ. 67 კ. 5, ახალი დავთრები 9 მ. 6, ბიბლიოთეკის მცველს 64 მ. 7, გათბობა და განათება 16 მ. 53 კ. 8, რაფაელ ერისთავის დასაფლავებაზე (ბეგირგვინი) 7 მ. 75 კ. 9, წიგნების ყდები 7 მ. 55 კ. 10, სახლის ქირა 48 მ. 11, ბუნდოვანი სურათები 28 მ. 12, 1899 წლის და 1800 წლის ვალი მოვაშორეთ 28 მ. ჯამი 316 მ. 30 კ. ბიბლიოთეკას აქვს გასაყიდი წიგნები 11 მ. 75 კ. ფული 81 მ. 97 კ. მთლათ შედგა 410 მ. 2 კ.

კრებამ დამტკიცა ანგარიში ბიბლიოთეკის სახელობაზე ხაზინაში ეფიფილა 156 მ. 96 კ. საზოგადო კრებამ დადგინა ეს ფული იყოს ხელ უსლები ვიდრე დაიწყებოდეს ბიბლიოთეკის შენობა და მიუმატოს იმ ჯამს, რომელიც აჯამუდოვისაგან არის მოგროვილი ამავე საქმის სასარგებლოთ და ბიბლიოთეკის გაკეთილ წლის ვალი 71 მ. 97 კ. ისევ ვალათ დარჩესო.

აქვე მოახსენა საზოგადო კრებას. სარეგიზიო კომისიამ რო, გადავთვალიერეთ ბიბლიოთეკა და ადმოჩდა რო ამ უკანასკნელ რამდენიმე წელს (ვგონიან რვა წელი უნდა იყოს) ბიბლიოთეკას დაკლებია 198 ცალი წიგნი, ზოგი მათგანი სიძველის გამო ჩვენ გავაუქმეთ, დანარჩენი წიგნები შევიტანეთ ახალ კატალოგშიო.

აქვე განაცხადა სამმა წევრმა ბიბლიოთეკისამ, რო ანგარიშში არის ერთ ადგილში 23 მ. 60 კ. და უნდა იყოს 33 მ. 60 კ. ასეთი შენიშვნა გამგეობამ შეურაცხობათ მიიღო, მაინც საზოგადო კრებამ არჩია ექვსი კაცი ამ საქმის გამოსაძიებლათ; ამ ექვს კაცში სამი მათგანი იყვენ, რომელნიც ბრალს ადებდენ გამგეობას, ამ ახალ არჩეულმა კომიტეტმა გამოიძია, გადაშინჯა ხელ მეორეთ დავთრები და არავითარი ბოროტ-მოქმედება არ ადმოჩდა და გამგეობა მართალი ადმოჩდა. მაგრამ საქმე ამითი არ დაბოლოვდა, გამგეობამ ცილის წამებათ მიიღო ესეთი შენიშვნა და უარი განაცხადა თვის თანამდებობაზე. (თუმც სოხოვეს დარჩენილიყო, ... ხელეს თორმეტი კაცი, მაგრამ არც ერთმა არ ... წეგრობა. ძველმა გამგეობამ კი ცივი უარი განაცხადა. „ჩვენ ადარ გვინდა ვემსახუროთ აქ სადაც ნდობა არ არისო"; მაინც ერთმა მათგანმა იკისრა დროებით გამგეობა. ახალმა გამგეობამ მოახდინა რამდენიმე კრება, მაგრამ საზოგადოება არ დაესწრო; ეს იმან გამოიწვია, რო უსამართლოთ და რადაცა ბირადი ქიშპობის გამო, დანიდგეს ის ბირები ვინც სამი წელი უსასყიდლოთ ემსახურებოდენ და ასულდგმულებდენ ბიბლიოთეკას.

არ ვიცი რას უნდა მივაწეროთ, რო შარშან გამგეობამ 276 მ. 36 კ. წარმოდგენებიდან მოაგროვა, შეიძინა საწერო ნივთები და წლეულ კი ჯერ არაფერი მოუგროვებია, და მაინც დაფინის გვირგვინის მოლოდინში არიან. ვისურვებთ რომ მართალი მსარე დამეოფილებულიყოს და ამითი გაოცებულიყოს აქაურ საზოგადოების ძიძგილი; თუ საქმე ასე დარჩა დიდხანს ბიბლიოთეკას კარგი არ დაეერება.

გულით მეგობარი.

—

Დ. ᲮᲝᲜᲘ. ორი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც ქუთაისს და ხონის შემაერთებელ გზის გაკეთებას შეუდგენ, მაგრამ ჯერაც არ დასრულებულა. ამ ბოლო ხანებში ახლათ არჩეული გზა სრულიათ წახდა, რამაც მიმოსვლა დაბა და ქალაქს შორის შესაძნელებათ შეაცარა. აქ წინეთ სიანამ ძველი გზის კეთებას დაიწყებდენ ხონი და ქუთაისის შუა 25 ვერსის მანძილი იყო, სასულდგმელო ორი საათის დელეკანსის სასიარულო. ახლა კი 35 ვერსტი გზა გავჭვეს სასიარულო და წარმოიდგინეთ იმისთანა გზა, რომელზედაც დელეკანსი ოითო საეკანის მანძილის შემდეგ ერთ არშინზე მაინც შეგახტუნებთ და ქუთაისში მისვლამდის ისე დაგბეეკვეს, რომ თუ მაგარი აგებულობის ადამიანი არა ხარ უეჭველათ ერთი კვირა, ჩვენში რომ იტყვიან „კანცათ არ გამოდგები". სასურველია, რომ მთავრობა მეტ ყურადღებას მიაქცევდეს ამ გზის მოიჯარადრეს და რაც შეიძლება დაჩქარებიოს გზის გაკეთება.

ამ ბოლო ხანებში „რეალიად" წახდა აგრეთვე დ. ხონიდან დ. სამტრედიაში მიმავალი გზა.

დ. ხონში 15 ენკენისთვიდან დაიწყებს მოქმედებას საკვირაო სკოლა — ამ სკოლაში მიიღება ყველა განურჩევლათ წოდებისა და წლოვანობისა, როგორც კაცები, აგრეთვე ქალები, განსაკუთრებით კი იმ ღატაკ მშობლების შვილები, რომლებსაც არავითარი შეძლება არ აქვთ შვილები სასწავლებელში მიცენ. ამ სკოლის დაარსებისათვის გულმოდგინეთ იღვწოდენ ქ-ნი ოლიმპიადა გ. ლორთქიფანიძის და ნინა გ. ქუთათელაძის ქალი; ესენიგვე იშრომენენ ამ სასწავლებელში.

— ხონში ბარსეგობით დიდი კეკრობა იმართება. ამ დღისათვის ბლომათ იკრიბებიან, როგორც მეიდგელები კერეთვე კამეიდკელები. ხშირათ მეიდგელები გზაზე უსვდებიან კამეიდველ სოფლელებს და თავისი მელური ქცევით, სულ მცირედ ფასში იგდებენ ნელში გზაზეკე სოფლიდან შემოტანილ საქონელს. სასურველია ბოლიცია მეტ ყურადღებას მიაქცევდეს გაუმაძღარი ჩარჩ-ბაცაცების საქციელს და აუდგრძალავდეს გზაზე კაჭრობას.

აქეთკენ აქამომდე ორი აბრეშუმის ქარხანა მუშაობდა: ერთი დ. ხონში, მეორე კი სოფელ კუნში, სადაც ბატარა სოფლის მუშა გოგოები დრო კამოშვებით მუშაობდენ. ახლა კი ბირველი ქარხანა კადიწყა; მეორემ კი, რომელიც ქუთაისის გუბერნიის მაბრეშუმეთა ამხანაგობის ხელში იყო, სრულიათ შეწყვიტა მოქმედება, რადგან ამხანაგობამ ზარალის მეტი კერა ნახა რა. ბირველი ქარხნის ბატრონი — მისაიდ ბეტრესძე სანოძე ხელ მეორეთ შეუდგა კადამწყარ ქარხნის შეკეთებას; ქარხანა სულ მოკლე დროში მზათ იქნება და თავის მოქმედებასაც კაანყებს.

ხონში ამ ბოლო დროს ქურდობაც კაძლიერდა. ამას წინათ ხონში მცხოვრებ კაჭარ გიგო ჯაკჯანიძეს მოპარეს 1300 მანეთი,

ვეს ჩაადინა ეს ქურდობა ჯერაც არ არის გამოკვლეული. 22 მარტიმობისთვეს დიმიტრი იესესძე ჩხეიკეიშვილს მიუსდა ვიღაცა ქურდი მაგრამ ქურდმა თავის მიზანს ვერ მიაწია, რადგანაც ბაშვეს მოსულა და თოფის სროლა აუტეხია.

ოთხი ხუთი წლის წინათ ხონში დაარსეს აბრეშუმის ბარკის საზოგადო სასწორი. ეს სასწორი დღემდე მოქმედობს. ამ სასწორზე მუშაობდენ რამოდენიმე ხონში მცხოვრები ინტელიგენტი; განსაკუთრებით ისინი, რომელნიც მდაბიო ხალხს უთანაგრძნობენ, ამ სასწორზე წელს აიწონა 1552 ფუთი და 33 გირვანქა ნედლი ბარკი; თუ არა საზოგადო სასწორი მესუთედს მაინც მოაკლებდა გამყიდველს გაუმაძღარი ვაჭარი. ხონის ბაზარს რამოდენიმე ღამის დარეკვა ეკვს, მაგრამ ეს კვბატონები იშვიათად იცერენ ქურდებს, თუმცა ისინი ხშირად თრეშობენ, ხონისავე ბაზარში ამ მოკლე ხანში სამი ოთხიოდე ქურდობა მოახდინეს.

— ხონის სოფლისტა სემინარიას რვა თვეისუფალი კაკანისა აქვს, ამ რვა კაკანსიაზედ შემოტანილია 65 თხოვნა; მთხოვნელთა შორის 21 სოფლისტა სემინარიის ექიმმა ბ-ნმა ჩხეიკეიშვილმა არ მიიღო, დარჩა 44 კაცი რვა ადგილზე.

ილია ბახტაძე.

წერილები.

I.

ძმაო მიხა!

...იწერები: ,,კარგათ გავიცანი, შევისწავლე იმის ხასიათი, იმის გულის თქმა... შემიყვარდა... შევუყვარდი და დღესა თუ ხვალ ჯვარსაც გადავიწერთო.

,,რომ იცოდე რა ბედნიერება ყოფილა სიყვარული, რა ნეტარებასა გრძნობს ადამიანი, როდესაც საყვარელი არსება გვერდით უზის და მისს ანთებულ თვალებში კითხულობს თავისადმი ალერსს, თავ-განწირვასა!... ცა და ხმელეთი, ტყე და მდინარე, ყვავილებით მოქარგული მდელო და თოვლით დაფენილი ამაყათ მდგომი მთის მწვერვალები, ყველა, რაც კი ბუნებას შეუქმნია, რასაც კი სამყარო ჰქვიან და რის საიდუმლოებასაც უბრალო მოკვდავი დღეევანდლამდის ვერ მიმხვდარა, შეყვარებულისათვის თითქმის აღარ არსებობს. გიყვარს? ქვეყანა შენია,—სამყარო გულში გისვენია. რას მიქვიან საიდუმლოება?! შენს სატრფოს შესახებ ოცნებით გატაცებულს, ნათლათ გესმის ბუნების ენა: ნაკადულის წყნარი წანწკარი წვრიმალას შრიალი, ყვავილთა შორის მონავარდე ნიავის სისინი, ულრან-ტყის გულ ჩათხრობილი ბუტბუტი, ჩაბნელებულ ხევ-ხევის გამოხმობა, გიჟი ჩანჩქერების გმინვა-ქუხილი და თვით ხალხთა ჟრიამული მარტო ერთსა და იმავეს გამოსთქვამენ: ,,ბედნიერი ხარ, გულის ტოლი გიპოვნიაო''

უყვარხარ მასაც? რაღათ გინდა სხვა ნეტარება? ქვეყნის სიმდიდრემც დანაცვლებია სატრფოს ერთ შემოხედვას, მისს ერთ სიტყვას, მისს ერთ კოცნასა!...

ოხ, ტიმოთე, რომ იცოდე რა ბედნიერი ვარ?!...

დილით, ალიონზე, პირის დასაბანავათ რომ გამოვდივარ ხოლმე ჩვენ რუზე და გავხედავ ჩვენ ბაღჩის იქით მდგომ თებროანთ სახლს—სიამოვნების ჟრუანტელი თავით ფეხამდის დაჰივლის ხოლმე და ერთ ადგილას გაშეშებულს, სულ მინდა ვუმზირო და ვუმზირო თეთრათ შელესილს ალიზის კედელს, მასში გამოჭრილი პატარა სარკმელს. იმ სარკმელთან სდგას ჩემი სატრფოს საწოლი. იქ, იმ სარკმელის იქით, სუფთა ლოგინში, ბადრი მთვარესავით, წევს ხოლმე ჩემი თებრო, ჩემი მზე... დიახ, ჩემი მზე, რადგანაც, ვიდრე თებრო სარკმლიდან არ გამოიხედავს ხოლმე, ,,ჩემთვის მზე არ ანათებს''.

ვეღარ ვამჩნევ ხოლმე, როგორ მედიდურათ ამოდის მაღლა მაღლა ქვეყნის მნათობი და ოქროს ფრათ აელვარებს მთელს მიდამოსა. წინათ, როდესაც ჯერ შეყვარებული არ ვიყავ, ეს იგი, როდესაც უცალოთ დავიარებოდი ქვეყნათ, მიყვარდა ხოლმე ამომავალი მზის მზერა. ჩვენ სოფელს აღმოსავლეთით უნაბამაზარი მთა უდევს. ამამავალი მზე პირველ ხივებს ამ სტყორცნის ხოლმე ცის გუმბათს და ეს ხივები სვეტ-სვეტათ ადგებიან შავ მთას, ჩვენი კაკლის ხეები ცხოლოთ მაშინ დაიწყებენ ხოლმე ბუტბუტს, გიჟმაჟი ზეკარა მარტო მაშინ წამოუქროლებს ხოლმე აბიბინებულ ველ მინდორს და მზის ამოსვლის მომლოდინე სოფელი სასიცოცხლოთ ემზადება... მთის იქით მზე დიდის ხნის გაბატონებულია, ხოლმე, მთის აქეთ კი... ჯერ ისევ ბინდია. ღამით ჩამოწოლილი ნისლი იძაფება, ყომრალი მატყლივით იპენტება და მთის კალთებს აკვდება. პირ მონამულ ყვავილებს, თითქოს თავისი ცრემლებისა სცხვენიათო, ცახცახი მოსდით და ჩვენი რუ ნამძინარევი კაკივით მიბურტყუნებს ხოლმე. პირ-დაუბანელი და ჭუჭყიანი მელორე მარტო მაშინ ჩამოუვლის ხოლმე ჩვენ სოფელს და იღლიაში კომბალ ამოჩრილი მიქნარებით მიეშურება სანახიროსკენ...

წინათ ძალიან მიყვარდა ხოლმე გაღვიძებული სოფლის მზერა, სიცოცხლეს მიმატებდა ალიონი და მსურდა რომ განთიადი გაგრძელებულიყო, რათა ყველას ეგრძნო მზის ძლიერება, მაგრამ ახლა გული მომდის, რომ პირქუში მთა ასასივით აჰყუდებია ჩვენ სოფელს, ვბრაზდები, რომ მზე უცბათ არ მიანათებს ხოლმე თებროს ფანჯარას. მის ადგომის მომლოდინეს--ქვეყნათ სხვა აღარა მეყურადღებება რა...ვდგევარ ხოლმე რუის პირათ და ალიზის კედელი საოცაცავათ გამიხდია... ოხ რა ცუდია მოლოდინი!!... წუთი ერთ საათათ გეჩვენება! მერე ის ოხერი ჩვენი კაკლებიც მიშლიან, რომ პატარა სარკმელი მაინც სავსებით დავინახო. მათი გაბორჯღლილი ტოტები ქოლგასავით ჩამოჰფარებია სახლის კედელს და აჩრდილებენ... დღეს ადლით ისე გავჯავრდი, რომ ბიჭს ვუბრძანე ხვალისათვის უეჭველათ ზოგიერთი ტოტი შეაკაფოს ჩვენ კაკლებს. ბიჭს გაუკვირდა. გიჟივით თვალები დამაჭყიტა და სახის რაღაც ტუტუცური გამომეტყველება მიიღო. რა იცის უკეთურმა, რომ არამც თუ კაკლის ტოტებს აღარა აქვს ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა, თვით ქვეყანაც კი არაფრათ არ მიღირს, თუ ჩემი თებრო არ მეყოლება, თუ მას არ ვუმზერ ყოველ წუთს, ყოველ ჟამს... ან კი რა აზრი ჰქონდა აქამდის ჩემ სიცოცხლეს? არაფერი! ქვეყანა მარტო დღეს გავიცანი და ვგრძნობ, რომ უსიყვარულოთ ქვეყნათ ცხოვრება თავის მოტყუვება ყოფილაო!''...

რამდენჯერმე წავიკითხე, ბიჭო, ეს შენი წერილი და მართალი გითხრა—ძალიან გავნცვიფრდი... რა გითხრა? შენ, ჩემო ძმაო, ბულბულის ენა ამოგიდგავს და მე რომ ახლავე ყვავივით შემოგჩხავლო, ბევრი ვერაფერი გასაგონი იქნება შენთვის. ჯერ-ჯერობით არც არაფერი ითქმის რა, რადგანაც შეყვარებულებს, სხვათა შორის, ერთი ცუდი თვისებაცა სჭირთ: ხშირათ ,,ღვთის წყალობა'', ,,ღვთის რისხვათ'' შეესმებათ ხოლმე და მეშინიან ჩემი დარიგება, ჩემი გულწრფელი აზრი მტრობათ არ ჩამომართვა. ცხოვრებას, ცხოვრებას ჩაუკვირდი ჩემო ძმავ, და ჩემ სათქმელს იგი გეტყვის. მანამდის კი იყავი მშვიდობით და გისურვებ ბიდნიერებას, თუ კი თავდავიწყებას ბედნიერება დაერქმევა.

მარად შენი ტიმოთე.

189... წ. 20 ივლისი.
ქ. თფილისი.

II.

ტიმოთე!

ცხოვრებაში რომ კაცი ურიის ცხენივით გამოიცვითება, იმას სიყვარულიც სასაცილოთ მიაჩნია. მაგრამ უნდა გულ-

ახლილათ გითხრა, რომ ჯერ შენ ცხოვრებისაგან გათელილათ ვერ ჩაგთვლი და ამიტომ არც მწყინს შენი ,,ქადაგება''.

,,გისურვებ ბედნიერებას, თუ კი ბედნიერება დაერქმევა თავ-დავიწყებასაო'' ვითომ რა გინდა სთქვა ამით? თავ-დავიწყებაა განა ქალისადმი სიყვარული? თავ-დავიწყებაა ის ნეტარება, რომელსაც შეყვარებული შეყვარებულს აგრძნობინებს ხოლმე? მე შენი ვერა გამიგია რა და ძალიან კარგი იქმნება, რომ გარკვევით გამოსთქვა შენი აზრი. მინამდის კი ისევ ჩემ ყოფნაზე გესაუბრები.

მართალი გითხრა, იქნებ ვერც კი მომეცალა შენთან საბაასოთ, მაგრამ ამ ჟამათ მარტო ვარ, ჩემი მზე და მთვარე ქალაქში წავიდა მზითვის სასყიდლათ. კვირასა გვაქვს ქორწილი... (უეჭველათ მეწვიე, აბა რაღა პატიჟი გინდა). რამდენიმე დღითი წამოვიდა და ჩემი გულიც თან წამოიღო. მთელი დღე გიჟივით დავდივარ. საჭმელი არ მაგონდება და სასმელი. აჩრდილივით დავხეტიალებ და ოცო-ბოცო ვედები. თითქოს რაღაც მაკლია, თითქოს ნახევარი გვერდი გამოჭმული მაქვს-მეთქი, ფეხ-მოტეხილი ჭუკიასავით დავყიალებ ველ-მინდვრათ და საქმისთვის ხელი ვერ მომიკიდნია.

ჩემი თებრო შორს, შორს არის ჩემგან და ან კი რაღა უნდა გავაკეთო?.. ოხ, ღმერთო, ნეტა როდისა ვნახავ?.. მერე რა კარგია, რა ანგელოზია ჩემი თებრო!.. მალხაზია, როგორც მერცხალი და უმანკო, როგორც შვლის ნუკრი. თუ მშვიდობაა, შენ თვითონ ნახავ და მაშინ დააფასებ, რა გემოვნებაც მქონია. მაგრამ მის გარეგნობას თავი დავანებოთ, შენ იმისი სული და გული იკითხე. სიტყვები ვერც კი მიპოვნია, რომ სავსებით დაგიხატო თებროს კდემა-მოსილება, მისი ჩემდამო სიყვარული. დღე და ღამ სულ ამას მეფიცება, რომ ნამდვილი მეუღლე იქნება ყველა შემთხვევაში და ძე ხორციელი ვერ შეაცვლევინებს ჩემზე გულსა. მრწამს, რომ ის არ სტყუვის და მისი მეუღლეობა მართლა გამამხნევებს და რაც უნდა გაჭირვებაში ჩავარდე, ის წარბებსაც არ შეიხრის და უშიშრათ შეხვდება ყოველ-გვარ უკუღმართობას. განა ეს ბედნიერება არ არის?

იმ დღეს, ხელი ხელ გადახვეულები ვისხედით რუის პირათ და ხმა-გაკმენდილი შევცქეროდით ცაზე მოსრიალე ღრუბლებს. მთვარიანი ღამე იყო და უიმისოთაც აჟღერებული ჩვენი გულის თქმა ტკბილ უცნებებს ბანს აძლევდა. უცბათ ერთმა შავმა ფიქრმა გამირბინა თავში და ამოვიოხრე. თებრო ირემივით შეკრთა, უფრო მაგრა მომხვია ხელი და თვალებში ჩამაცქერდა.

— რათ ამოიოხრე! დამეკითხა იგი და თვალებში ცრემლები მოადგა.

— არაფრათ. გავიფიქრე: ვაი თუ ცხოვრებაში გაგვიჭირდეს და მერე რაღა ვქნათ მეთქი.

თებროს სახე დაუმშვიდდა და ანგელოზივით გაეღიმა.

— ოღონც კი ცოცხლები ვიყოთ, ოღონც კი შენ გიყვარდე და ყოველ გვარ გაჭირვებას ავიტანო.

— მართლა მეთქი? დავეკითხე...

— განა ეჭვი გაქვსო! მისაყვედურა თებრომ და არამც თუ ხატი და ჯვარი, ხე და ქვაც კი აღარ გაუშვია, რომ არ დაეფიცნოს. ისეთის გულ წრფელობითა, ასეთის გატაცებით მეფიცებოდა, რომ მე გულმა კანკალი დამიწყო, სული შემეხუთა და თავდავიწყებით დავეკონე იმ ტუჩებს, რომლებიც ასე ტკბილათ მეფიცებოდენ. აღარ მახსოვს რამდენ ხანს ვიყავით თავდავიწყებულნი, ხოლო როცა გამოვფხიზლდი, მთვარე უკვე დაჭყუდებოდა ნაცარგორის მთას და ჩასვლას აპირებდა. სხვა ვარსკვლავებთა შორის უფრო მოციმციმე ,,ხარი პარია'' თვალსა ჭუტავდა და აბდღვრიალებული ხომლი ძალზე გადახრილიყო.

— დრო არის მეთქი მოისვენო, ვუთხარი თებროს, ხვალ ქალაქში ხარ წასასვლელი.

— რა ჩქარა გარბის ეს ოხერი დრო... [illegible] ახლოვებულაო. ნაღვლიანათ მითხრა თებრომ და თავის სახლამდის ხმა აღარ ამოუღია. სახლის კარებთან კიდევ დიდხანს ვიდექით და უსიტყვოთ შევყურებდით ერთმანერთს. ბოლოს თებრო გიჟივით გადმომეხვია, თვალები მაგრათ ჩამიკოცნა და ,,ნახვამდის'', ,,ნახვამდის'' ძახილით სახლში შეიჭრა. სიამოვნების ჟრუანტელმა დამიარა მთელ სხეულში და... ბედნიერ კაცათ ჩავთვალე ჩემი თავი. თებროს ვუყვარვარ და იმის თავს ვერავინ წამართმევს. ვიშ ნეტარებავ!..

შენი მიხა.

P. S. თუ გინდა ბედნიერება, შენც შეიყვარე... თავი შეაყვარე ვისმეს.

მიხა.

189... 10 სექტემბერი.

ს. ხევთაშთა.

III.

ძმაო მიხა!

შენ ან დიდი ხუმარა კაცი უნდა იყო და ან გამოუცდელი, მართლა და თავდავიწყებული. შე კაი კაცო, ქორწილში რომ მეპატიჟები, რატომ ჩემ გარემოებას კი აღარ კითხულობ?.. მართალია საოცნებო იდეალია: მთვარიანი ღამე და რუს პირას მჯდომარე ორი ახალგაზრდა, ერთი მდედრობითის და მეორე მამრობითის სქესისა,—რომლებიც ერთმანერთს სიყვარულს ეფიცებიან,—მაგრამ არ შეიძლება რომ ჩემის მხრით მეორე გვარი სურათი არ აღგიწერო, იქნება ამან ცოტათი მაინც გამოგაფხიზლოს. მე შენ ძრიელ კარგათ გიცნობ და ვგრძნობ რომ თავ-დავიწყებას მისცემიხარ... იმ დღეს, როდესაც თქვენ თურმე რუის პირათ ისხედით და მთვარეს უმზერდით, თქვენ უმორჩილესს მონას მუცელი ხელით მეჭირა და სიმშილისაგან ცხრათ მობღუნძული, ძლივ-ძლივ დავიკაკვებოდი ჩემს ოთახში. უკანასკნელი შაური ნესარეცხე დედაკაცს მივეცი ორი სამი დღის წინათ და ჯიბე გამოცარიელებული კედლებს შევბღუვოდი... შენ თუ გრწამს რომ მთვარიან ღამითა და ოცნებით გატაცებული შენი თებრო მუდამ შენი ყურ-მოჭრილი მონა იქნება, მეცა მრწამს, რომ ცოლი რომ მყოლოდა, უეჭველათ გამექცეოდა და თუ გაქცევას არ ინებებდა, ზიზღით მაინც დამიწყებდა ყურებას იმ გვარ კაცს, რომელსაც 6—7 თვეა სამუშაო ვერ მიშოვნია და სახლიპატრონის სავალალოთ დღე და ღამ ნაცარქექიასავით შინა ვგდივარ? მერე რა დაგემართა სამსახური რომ ვერ გიშოვნიაო? მისაყვედურებ...

მართალია ბევრსა ვლაპარაკობთ, ბევრსა ვპირდებით ერთი მეორეს, ხოლო როდესაც ვხედავთ, რომ სხვის დახმარებით ჩვენ ჩვეულებრივ ცხოვრებას ძირი ეშლება, მაშინ უკან ვიწევთ და ფეხებზედაც აღარა გვკიდია სხვისი გაჭირვება თუნდ ეს ,,სხვა'' ჩვენი მშობელი, ჩვენი ძმა და მეგობარი იყოს. ამ შემთხვევაში ხალხი ლოკოკინებს ვგევართ. როდესაც ლოკოკინა თავის გარშემო არავისა ხედავს, გამოიწევს ხოლმე კისერსს, გამოძვრება ხოლმე საბუდრიდან, სარდაფიდან, და აქეთ იქით მედიდურათ იხედება. მაგრამ აბა ახლოს მიდი, მოინდომე მისი გასინჯვა, იმავ წუთში მოიბღუნძება და სარდაფში სტუცავს ხოლმე თავს. რამდენიც უნდა ატრიალო ხელში ლოკოკინა, იგი თავის ბინიდან აღარ გამოდის და გულჩახვეული უცდის მარტოობას... ადამიანიც ასე იქცევა. როცა შენგან გამოელის რამეს, იგი კარგი მეგობარიც არის, შენი დიდი მოსიყვარულეც ვითომდა შენთვის თავდადებულიც, მაგრამ თუ ერთი ფეხი გადაგიბრუნდა, მაშინ კი მშვიდობით!.. შენთვის აღარავისა სცხელა. პირ იქით ყბად აგიღებს და სალაყბოზე გამოიგიტანს.

შეიყვარეო!.. ხა, ხა, ხა! საცინელია შენი წინადადება. ვინ შევიყვარო, რათ შევიყვარო, ღირსი კი არის ვინმე სიყვარულისა?

შენ რომ ჩემი დაგლეჯილი ტანისამოსი ნახო, შენ რომ შემოხვიდე ჩემ ჭუჭყიან ოთახში და თვალი გადაავლო ჩემ გარემოს რაცა ხდება, შეგეზიზღება მთელი ქვეყანა და სიყვარულის მოტრფიალეს მაგივრათ შურის ძიების ღმერთად გარდაიქცევი.

შენ რა გიჭირს, ჩემო ძამიავ, არცა გშიან, არა გწყურიან, ფული ბევრი გაქვს და პური. არშიყობის მეტი აღარა გაკლდა-რა და ეგეც შეისრულე. მაგრამ მე?.. ჩემი ბედია ყველას ,,ბალი აღა'' ვუძახო, და ამ გვარ გარემოებაში განა შეიძლება ,,ქალის-' საალერსოთ მოვიმართო?..

უხეირო ყოფილხარო და იმიტომ იტანჯები, როგორც სულიერათ ისე ხორციელათო, გაიფიქრებ, ჩემო კეთილო.

ᲰᲛ! უხეირო! მადლობა შემოქმედს, თვალი არ მაკლია და ყური მაგრამ...

მშვენიერი ადგილი მეჭირა. ცოტა რომ თავი დამეკავებია მალე ავცოცდებოდი უმაღლეს საფეხურზე და მეც ვიკოჭავებდი ცხოვრებაში, მაგრამ თავი ველარ შევიმაგრე და ყირამალა დამაგორეს კიბიდან; ჩემი კიბიდან დაგორება და ჩვენი საზოგადოებისაგან განგაშის შექმნა ერთი იყო... ყველა ჩამომეცალა, ყველას მოვბეზრდი. რათა? რისთვის? იმიტომ რომ ველარავის ვერაფერში ვერ გამოვადგებოდი. ,,ჩემი ურგები ქოთანი—ქვას, შეჭამადი კი ძაღლსაო'' უბრძანებიათ ჩვენ ძველებს და ჩვენც იმათი შვილები არა ვართ?

მინამ კი ადგილზე ვიყავი, გაქვს ღვთისა და ბატონის წყალობა მე კაცად ვითვლებოდი. ჩემი ჭკუა, გამჭრიახობა, პატიოსნება და სხვა და სხვა თვისებანი საარაკონი იყვენ... დავანებე სამსახურს თავი თუ არა და... ხალხის თვალში უცბათ გამოვიცვალე, ხელათ გავგიჟდი, გავსულელდი, გავსაპყარდი... ხა, ხა, ხა! საცინელია, სატირელი რომ არ იყოს ბრბოს ასეთი ცვალებადობა. მერე რაა ამის მიზეზი, დაფიქრებულხარ, როდისმე?.. ,,თავი შეაყვარე ვისმეო'' მწერ. ამ ჟამად ფიანდაზათაც რომ გავეშალო ვისმეს ფეხ-ქვეშა, ზედაც არავინ შემომხედავს, რადგანაც... რადგანაც ღარიბი, უადგილო ვარ. წინათ კი, წესიერათ გამოწყობილი დავიარებოდი—მოგეცა სიცოცხლე,—ქალები ბუზივით მეხვეოდენ... ერთმა კიდევაც ,,შემიყვარა'', ჩემი გულისთვის გული უწუხდებოდა, ფეთება მოსდიოდა... დღეს ხვალობით მეც გულში ჩამივარდა და ეგრე შენსავით ოცნებას მივეცი თავი. მზე და მთვარე თავისი მხლებლებით, ტყე და მინდორი თავისის სიმშვენიერით, ერთის სიტყვით მთელი ბუნება, თავისის ავკარგიანობით, ჩემ სასიამოთ მეგონა გაჩენილი და მის მეფეთ, მის მარგალიტის ჯილათ კი—ჩემი თიკო...

ქვეყნის გადაბრუნებას ვიფიქრებდი და თუ თიკო ჩემზე გულს შეიცვლიდა ის კი არ მეგონა... გავიდა დრო, სამსახურიდან გამოველი, გავხუნდი, გავიცარცვე... ჩემ თიკოსაც ფერი ეცვალა... ნელ ნელა ჩამომეცალა და ბოლოს ერთ ულვაშებ გაწკიპინებულ ლამაზი შეხედულებისა, ამოუდგა გვერდით. სისხლი ჩამეცა გულში, თუ ღმერთი გრწამს გულჩვილობას, სანტიმენტალობას, თავი დაანებე და პირდაპირ შეხედე ცხოვრებას თვალებში. მერწმუნე ბევრი, ძრიელ ბევრი რამ არის გასაკეთებელი—სიყვარული, ცოლშვილობა და სხვა ამისთანები მხოლოდ იქ არის მოწესრიგებული, სადაც ესმით ადამიანის უუწმინდესი—დანიშნულება... ჩვენში კი ჯერ თვალებითა ვცხოვრობთ და მეფიქრება ვაი თუ შენ გატაცებას ცუდი ბოლო ჰქონდეს. მით უმეტეს, რომ შენ თებროს ახლავე სულში ვერ ჩაუძვრებოდი და ვერ აღმოიკითხავდი, რა სწერია მის გულის სიღრმეში. განა შეგიძლიან დაამტკიცო რომ შენი თებრო ,,ციური ანგელოზია'', ან ცხოვრების შვილი, განა ანგელოზი კი იქნება? აი რის თქმა მინდოდა და კარგათ დაუფიქრდი...

189... წ. 15 ოქტ,

P. S. ქორწილში ვერ გეწვევი. ჩემი დაჯღანული ფეხთ-საცმელები და გახუნეულ-გაჭუჭყიანებული ტანისამოსი არავის სამასხარაო არ არის.

ტიმოთე.

V.

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲢᲘᲛᲝᲗᲔ.

თქვენმა წერილმა, 15 ენკენისთვის თარიღით მოწერილმა დიდი შეურაცხყოფა მომაყენა. ისე მელაპარაკებით, თითქოს მოსწავლე ვიყო, ხოლო ჩემ სატრფოს ხომ უდიერათაც კი იხსენიებთ. ვცემ რა პატივს ჩვენ წარსულ ნაცნობობას—მეტათ აღარ ვაზვიადებ თქვენ კადნიერებას. მხოლოთ გთხოვთ ჩემთან ყოველივე მიწერ მოწერას ბოლო მოუღოთ... თქვენგან დაწუნებული თებრო დღეს ჩემი მეუღლეა და ძალიან ბედნიერათაც ვცხოვრობთ...

მიხეილ გვეცაძე.

15 ოკტომბერი 189. . წ.
ს. ორხევშა.

IV.

ᲩᲔᲛᲝ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ.

მე ვერ გამიგია შენი წყრომის მიზეზი!... და არც ვიცი აგრე რამ გაგაცხარა. მაგრამ შეყვარებული ხარ და გეპატივება. თუ ჩემი დანაშაული ისაა, რომ გთხოვდი ცხოვრებას დაჰკვირვებოდი, ნურას უკაცრავათ შენთან! ცხოვრება ყველას შკოლაა და მარტო შენისთანებისათვის არ უსწავლებია მას ჭკუა!...

მეც რომ პატივს არა ვცემდე ჩვენ ყოფილ მეგობრობას და დარწმუნებული არ ვიყო, რომ შენი სიტყვები მარტო თავდავიწყების ნაყოფია, თავისს დღეში არ გაპატივებდი შენ უკანასკნელ წერილს, მაგრამ მე ვიცი, რომ ოდესმე ცხოვრება ცხვირში ამოგკრავს, გაგეფანტება ჰაბუკური ოცნებანი, და მაშინ ყველა დევნულნი ერთმანეთისთვის საჭირონი ვიქნებით.

ამ ჟამათ ჩემის წერილებით მეტათ აღარ შეგაწუხებ. გახსოვდეს კი, რომ თუ ცხოვრებაში რაიმე მარცხი მოგვივიდა, ყოველთვის ვიქნები შენი ერთგული თანამგრძნობელი და შენის ღბედურების თანამოზიარე.

ტიმოთე თითია.

30 ოქტომბერი 189...
ქ. თფილისში.

190... მაისი.
ს. ხევთაშუა.

VI.

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ, ᲢᲘᲛᲝᲗᲔ!

ხელი მიკანკალებს, სირცხვილის ალმურით სახე მეწვის, მაგრამ მეტი გზა არ მაქვს ისევ შენ უნდა გამოგელაპარაკო, ისევ შენ თუ გაიზიარებ ჩემ დარღსა და ვარამს. აგერ რამდენიმე წელიწადია რაც მე და შენ შევლაპარაკდით, ჩემის წინ დაუხედავობის გამო და ამ ხნის განმავლობაში, მართალი გითხრა, არც კი მომგონებიხარ.

მეტი ბედნიერი მეგონა ჩემი თავი და აბა რაღას გამახსენდებოდი. მაძღარს მშიერიც მაძღარი ჰგონიაო, ხომ გაგიგონია. მე რომ პირველ ხანებში ბედნიერათ ვატარებდი სიცოცხლის წუთებს, ასე მეგონა თავის დღეში აღარ დამჭირდება ისეთი ხალხის თავი, რომლებიც ჩემზე დაბლა დგანან ცხოვრების კიბეზე მეთქი. ახლა კი ვგრძნობ, რომ ვცდებოდი, მაგრამ წარსულს რაღა მოვუმატო?.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადიოდა დრო და ჟამი, დღე დღეს მისდევდა და თანდა თან თვალები მეხილებოდა...

მე და თებრო პირველ ხანებში ერთმანეთს არა ვშორდებოდით. მტრედებივით შემოუსხდებოდით ხოლმე მაგიდას და ტკბილის ღუღუნით ერთი მეორეს ვართობდით. საღდეხვალიო ალერსით დავკმაყოფილდით, უფრო ფხიზელის თვალით შევხედეთ ცხოვრებასა და ჩვენ ურთიერთობას მტკიცე ნიადაგი მოვუძებნეთ... მე შევუდექი სარჩო საბადებლის მოპოვებას, თებრომ კი საოჯახო საქმეს მოჰკიდა ხელი და ჩავებით ცხოვრების ფერხულში. პირველ გატაცებას, პირველ სიყვარულს ცოტა არ იყოს ფრთა შეეკვეცა, ჩვენი აღულებული გულის-თქმა დაცხრა და ორივე კალაპოტში ჩავდექით. დადგა ზამთარი. საოცნებო და საარაკო ბუნებაში აღარა გვეჩვენებოდა რა. თოვლით დაფენილი ტრიალი მინდვრები, მოტიტვლებული მთები, საცოდავათ გაცრეცილი ხეები და სხვა არაფერი!...

ირგვლივ მოწყენილობა, მოწყენილობა და მოწყენილობა!

კარგათ იცი, რომ ადამიანის თვალსა და გულს ვერაფერი გაამლობს რა. თუ ერთი მოთხოვნილება დაიკმაყოფილე, ახლა მეორის დაკმაყოფილება გწადიან, თუ ერთი რამით გული აგისუყდა, მეორისაკენ მიგიგორავს თვალი. მართალი რომ ვსთქვა ადამიანის სწორეთ ამ მიდრეკილებაშია დამარხული წინმსვლელობის საფუძველი, მაგრამ თუ ადამიანს განსაზღვრული არა აქვს თავისი ძალღონე, შესწავლილი არა აქმს თავისი თავი და ზომიერათ არ ირჯება, შეიძლება სადმე თავი წაატეხოს.

ჩვენც ასე მოგვივიდა.

იანვრის პირველ რიცხვებში ჩემმა დედაკაცმა მოინდომა ქალაქში წამოსვლა. ქალაქში წასვლას კი ფულები სჭიროდა და მე კი იმდენი არა მქონდა. ვურჩიე, ამ ზამთარს ნუ წავალთ მეთქი ქალაქში, მაგრამ ვინ დაგიჯერა?

მართლა ის კი დამავიწყდა მეთქვა, რომ პირვანდელი კდემა მოსილება ჩემ სულიკოს აშრობათ შეეცვალა და რამდენიმე თვის შემდეგ ენა წაიგძელა. დაღრეჯილობა, ზმუკუნი, ბუტიაობა ჩვეულებრივ მოვლენათ შეიქმნა მის ცხოვრებაში. მე ერთი უბედური უხასიათო კაცი ვარ, თანაც ძალიან მიყვარდა თებრო და ყოველ მის ჭირვეულობაზე პასუხს არ ვაძლევდი, ვემორჩილებოდი. ჩემმა უენობამ ის უფრო წაათამამა და მალე ფეხ-ქვეშ ამომიდო. იმაზე დიდი უბედრრება არა ყოფილა რა, როდესაც ცოლი ქმარს იმორჩილებს, იმონებს... ვაჟკაცი მაშინ მჩვარია და სხვა არაფერი.

აქ ნუ წახვალ, იმას ნუ ელაპარაკები, ეს დაჰპატიჟე, იმას სახლში ნუ შემოუშვებ, ეს მომწონს, ის მეჯავრება და სხვა ამისთანა ჭირვეულობანი უნდა უეჭველათ ამესრულებინა, თუ არა და თავ-პირზე ცეცხლს გადამაყრიდა ხოლმე... მეც ვითმენდი, ვსდუმდი სახედარივით. ბოლოს ჩემმა უმანკო თებრომ პირიც შემომაჩვია და ბრალიან უბრალოთ, სულ მცირე რამეზე დედ მამას საფლავიდან ამომიყრიდა ხოლმე. ჩხუბი, დავი, დარაბა ყვედრება და ბუტიაობა საზოგადო მოვლენაა თითქმის ყველა თანამედროვე ოჯახში, მაგრამ მე ამას არ მოველოდი ჩემ თავზე და რა კი შევატყე რომ მეც არ ამცდებოდა გაბიაბრუება—ისევ მე ვითმენდი და ვემორჩილებოდი ჩემ ბედს...

ოხ, ვინ იცის რამდენჯერ მომგონებია შენი სიტყვები... ,,შეგიძლიან დაამტკიცო რომ შენი თებრო ციური ანგელოზიაო‘‘... მომაგონდებოდა ხოლმე და მწარეთ მეცინებოდა, თუმცა ერთ დროს მზათ ვიყავ ამ სიტყვებისათვის შენგან პასუხი მომეთხოვა.

ეჰ!...

ხო, იმას ვამბობდი, აიხირა ჩემმა თებრომ ქალაქში წავიდეთ, გავერთოთო. რა მეტი გზა მქონდა, ვისესხე ერთის ურიისაგან ფულები, მოვრთე, მოვკაზმე ჩემი [illegible] გამოვეწყე და მოუსვით ქალაქისაკენ.

ორი თვის განმავლობაში ხუთას ორმოცდა ათი მანეთი მივხარჯეთ და სოფელში ყურებ ჩამოყრილი დავბრუნდით... დავბრუნდით მაგრამ ვაი იმისთანა სიცოცხლეს, რა დღეც მე დამადგა.

თებროს აღარ მოსწონდა სოფელში ცხოვრება... მგელივით სულ ტყისკენ—ქალაქისკენ გაიცქირებოდა. სულ ოხრავდა, სულ ჯავრობდა. მე ეჭვი შემეპარა, რადგანაც ერთის ყმაწვილის კაცის სახელს მალი მალ ახსენებდა ხოლმე... რა კი ხეს ჭია ჩაუჯდება, გული გამოეფულრება. მეც ისე მომივიდა. რა კი ერთი ეჭვი შემეპარა, დღითი დღე უფრო დავდარდიანდი და მივყე ხელი ქეიფს... რაღა ბევრი გავაჭრელო გაზაფხულამდის სულ ერთიანათ გავღარიბდი და აიწეწა ჩემი საქმეები... ჯავრი ჯავრზე მემატებოდა და ერთ დღეს ხომ სულ მთლათ დავიღუპე. შეუბრალებელმა ცეცხლმა შთანთქა ჩები სახლი მთლათ ჩემი ქონება და დავრჩით შიშველ ტიტველი...

ავიკიდე ზურგზე მწუხარება და დავიწყე ნაცნობ ნათესავებში ფულის სესხება. ვთხოვდი დიდსა და პატარას, ვთხოვდი უღირსსა და ღირსეულს მოხუცსა და ყმაწვილს. მაგრამ შენც არ მომიკვდე, ხმა არავინ გამცა. რომ იცოდე, რომ გათთვალისწინო რამდენი დამცირება, რამდენი შეურაცხყოფა გამოვიარე, ასე იტყვი რომ სწორეთ ეშმაკის სული გდგმია, თორემ თავს მოვიკლავდიო... წარმოიდგინე ვინმე უღირსი, რომელსაც ფულები ათასის ეშმაკობა-გაიძვერაობითა აქვს მოპოვებული. შენ სდგეხარ ამ უღირსის წინაშე ცხრათ წელში მოხრილი და ლმობიერის თვალით შესცქერი, შესთხოვ—ხელი გაგიმართოს დროებით მაინც.

— რაო, ფულებიო? ვინ მომცა ფულები, ფული რომ მქონდეს ჩემთვისაც კარგიაო, გეუბნება დამცინავის ღიმილით და თან თავით ფეხამდის გათვალიერებს.

— შენი ჭირიმე, შენი დავიღუპე... ელრიჯები თათო ურიასავით.

— ჰმ. მესმის, მესმის. მაგრამ... ფულები... ჰმ ფულები... კარგი საქონელია ფულები... რომ არა მაქვს...

— მიშოვე სადმე... შენ ხომ იცნობ ყველას, ხომ დარწმუნებული ხარ, რომ არ დაგეკარგება... შენი, ჭირიმე, შენი.

— ჰმ, გიშოვო? სად გიშოვო... ფულის გულისთვის მამა შვილს გაჰყიდის, მაგრამ რომ არ არის ეს ფულები... უკაცრავათ... ჰმ ფულები... ჰმ ფულები...

— მაშ რა წყალში უნდა ჩავვარდე...

— არ ვიცი ღმერთმანი! გულგრილათ გეუბნება იგი, იმ დროს, როდესაც სხვის ნაოფლი ფულით სკივრი სავსე აქვს... განა ქვეყანა ჩასანგრევი არ არის?...

თავ-დაღუნული, განადგურებული დავბრუნდი ერთის ამ გვარის კაცის სახლიდან და მივაშურე ახლა ჩემ ნათესავებს...

უბედურო, უბედურო, უნდა შეგენახა, უნდა შენვე გქონდეს ფულები... სადა გვაქვს ჩვენ. ჰმ! ფულები, ფულები. კაი საქონელია ფულები! .იძახიან ისინიც და შეუბრალებლათ გისტუმრებენ უკან.

ისეთ გაჭირვებაში ჩავვარდი, რომ დანა ყელთანა მქონდა. მოვიკლა თავი? მერე რისთვის, ვისთვის? ეს უნდა იყოს ჩემი ბოლო? სასოწარკვეთილებით ვეკითხებოდი ჩემ თავს და ცრემლებს ვაფრქვევდი. სადაა, სად ადამიანობა, საუკუნოებით ნაანდერძევი მოძღვრება ,,გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა

თავი შენიო'', რატომ არ გასთქვეფია ხალხს გულ-გონებაში. ნუ თუ უბრალო ლითონზეა დამყარებული ადემიანის კეთილ-დღეობა მეთქი? დავეკითხე ჩემ თავს და, აი, აქ, მთელის თავისის უწმინდურება-უსამართლობით გამოიჭიმა ჩემ წინ ცხოვრების მეჯლიში და ერთ თვალის დახამხამებაზე გავი-თვალისწინე პიროვნების არა-რაობა უწმინდურის ლითონის წინაშე და შემებრალა მთელი კაცობრიობა, შემეზიზღა ჩემი თავიც, როგორც არარაობა, როგორც მონა, მაწანწალა მო-ნა ფულის მექონეთა. გულმოსულმა გავიფურთხე და თავში ხელი შემოვიკარ.

მაგრამ რას გავაწყობდი. ფული იყო საჭირო, ფული. სიცოცხლე, ცხოვრება უარესათ მომწყურდა.

— ფული როგორც იყო ვიშოვე...

— ჰმ ფულები! კაი საქონელია ფულები... გამახსენდა ერთი ვაჭრის სიტყვები... მაგრამ როგორ უნდა შეიძინო იგი: იქურდო? გაცარცვო ვინმე? იუსინიდისოვო, მოჰკლა ვინმე მდიდარი ნათესავი. რომ იმის ქონება შენ დაერჩეს. როგორც მემკვიდრეს? გაკოტრდე? სიყალბე ჩაიდინო? მოატყუვო ვინ-მე? მაშ როგორ შევიძინო? თითქოს ეს ოხერი, დღე და ღამეს ვასწორებ და რატომ მე კი არა მაქვს ფულები? სად მიდის სად ჩემი ნამუშავერი... ამოუსუნქებლივ ვეკითხებოდი ჩემ თავს და პასუხის ნაცვლათ გალიუცინაცია დამემართა; ჩემ წინ აღიმართა ვეებერთელა ძეგლი, ზედ ვიღაც კაცი იდგა, ხელში ოქროები ეჭირა. მთელი ქვეყანა მოგროვილიყო ამ ძეგლთან და მუხლ-მოდრეკილი ცხვრებივითა ბღაოდა. არც პატიო-სნება, არც ნიჭი, არც შრომა, არც სიკეთე აღარაფერი არა ჩანდა... გული მომივიდა, მაგრამ მალე მეც გამიტაცა საერო ბღავილმა და ძალა უნებურათ წამოვიძახე: უფულო კაცი, და ქეციანი ძაღლი ამ წუთი სოფელში ერთი და იგივე ყო-ფილა მეთქი.

— ოღონდაც! გესლიანათ მომაძახა თეპრომ. და ისე-თის თვალით შემომხედა, რომ სულ გული მომიკვდა

მეც დავუბღვირე.

— შემიბღვირე, თორე, შენმა სიცოცხლემ, ასიანები არ ამოყაჭო. აპა რა კაცი ხარ, შე უბადრუკოო! გული მო-მიკვდა, შეშლილივით დავიღრიალე და რაც დაგუბებული ბოღმა ვარამი მქონდა სულ იმაზე ამოვიყარე. მოვხსენით პი-რი და ისე დავლანძღეთ ერთმანეთი, რომ მტკვარიც ვეღარ გაგვრეცხავს...

ვცხოვრობთ ახლა აღრენილები, ერთი ბეწვა რამეს სი-გიჟემდის მივყევართ და ერთმანერთს აღარ ვინდობთ. ცხოვრე-ბაა ეს, ბედნიერებაა? სად გაჰქრა სიყვარული... ფიცი ალერ-სი... ვაი მოტყუებულო ჩემო თავო!...

სახლში რომ უბედურება უტრიალებს ადამიანს გარეთ მაინც უნდა ყავდეს ისეთი ვინმე, რომ ვარამი განუზიაროს, გული მოიჯეროს. მე კი ვინა მყავს? ხესა და ბალახს ჩემი არა ესმითრა, წყალი მე ყურს არ მიგდებს, ყვავილ ბალახი ნიავს ეარშიყე-ბიან, ტყე თავისთვის ბუტბუტებს და მე კი დღითი დღე ჯავ-რითა ვდნები... მაშ ვის მივმართო, მეგობრებს? სადღა არიან ისინი? მაგრამ შენ, შენ ხომ ისევ ცოცხალი ხარ, ჩემო ტი-მოთე, შენ შემივრდე და გასამხნევებლათ ხელი მომე! მიხვდი, მიხვდი ქვეყნის უსამართლოიას.

ვვეცაძე.

შენი მიხა.

190 ..-წ. მაისი 20.

მკვდრეთით აღდგომილო მეგობარო, მიხა!

მოდი, მოდი, ჩემო კეთილო, დეე ვიტანჯოთ მაგრამ ადამიანებათ კი დავრჩეთ. მე მოხარული ვარ რომ შეიგნე ცხოვრების უკუღმართობა, უეჭველათ მოგელი.

შენი ტიმოთე.

1992 წ.

ია ეკალაძე.

რუსეთის ცხოვრება.

მთავრობას აზრათ აქვს გადააკეთოს საქალაქო-ოთხ-კლა-სიანი სკოლები. ამის გამო ზოგიერთებს შუამდგომლობა აღუ-ძრავთ იმის შესახებ, რომ ქალთათვისაც დაარსებულ იქმნას ოთხ-კლასიანი სასწავლებლები.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამთავრა პროექტი ვაჭართა, მეშჩანთა და ხელოსანთა წოდებების რეფორმისა. პროექტი ამ ზამთარს სახელმწიფო საბჭოს წარედგინება გან-სახილველათ.

— მთავრობამ არ შეიწყნარა ზოგიერთთა ერობის შუა-მდგომლობა იმის შესახებ, რომ კვირა-უქმე დღეებში ბაზრებ-სა, იარმუკებსა და სავაჭრო ადგილებში დაიკეტოს ხოლმე არა-ყის სახაზინო დუქნები.

— უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში თითქმის ყველ-გან დასრულდა ეგზამენები. პეტერბურგის სატეხნოლოგიო ინს-ტიტუტში თხოვნა შეიტანა 950 კაცმა, მიიღეს 262 კაცი; გზათა ინსტიტუტში 990 კაცმა, მიიღეს 100 კაცი.

— მიწათ-მოქმედების სამინისტროს განუზრახავს ცვლი-ლების მოხდენა ორს უმაღლესს სასწავლებელში; სამთო ინს-ტიტუტსა და ეკატერინოსლავის უმაღლეს სამთო სასწავლე-ბელში. აზრადა აქვთ ახალი განყოფილებანი დააარსონ.

საერო განათლების მინისტრის ცირკულიარი.

(15 აგვისტოს 1902 წ. № 21.600).

საერო განათლების სამინისტროს შეუმუშავებია სხვა და სხვა საშუალება იმისათვის, რომ მოსწავლეთა ჯანმრთელო-ბის განვითარებას ხელი შეუწყოს და მოსწავლეთა შრომაც უფრო გაწეს-რიგებული იქმნეს. ეს საშუალებანი ამ სამოს-წავლო წლიდანვე უნდა შემოიღონ საშუალო სკოლებში. ხელმწიფე იმპერატორმა ამ თვის 5 რიცხვს კეთილინება და დაამტკიცა განათლების მინისტრისაგან წარდგენილი პროექ-ტი ზემოხსენებულ საშუალებათა წესებისა. ამ წესების ძალით საშუალო სკოლები მოვალენი არიან აასრულონ შემდეგი:

ა) ვინაიდან მოსწავლე მეტათ იღლება სწავლის დროს, საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭო—ვაჟთა, თუ ქალთა სკოლებისა—თუ საჭიროთ დაინახავს, მოვალეა მომავალ წლის განმავლობაში კვირაში ერთი დღე, თუნდაც უქმი არ იყოს, გაანთავისუფლონ მოსწავლენი სწავლისაგან, მაგრამ ეს თავისუფალი დღე უთუოდ უნდა მოახმარონ სხვა და სხვა ექსკურსიებს, შესანიშნავ ადგილების დათვალიერებას, წიგნე-ბის კითხვასა და სხვანაირათ სასარგებლოთ დროს გატარე-ბას. სწავლისაგან განთავისუფლება ყოველს შემთხვევაში არ უნდა აღემატოს მთელის წლის განმავლობაში შვიდ დღეს.

ბ) მოსწავლის სკოლაში ცხოვრება დიდათ დამოკიდე-ბულია თვით მოსწავლის ჯანმრთელობისაგან, ამისათვის პე-დაგოგიურ საბჭოს მხოლოთ მაშინ შეუძლია ადვილათ გაი-გოს ეს დამოკიდებულება, თუ საბჭოს რჩევაში ექიმსაც ექ-ნება მონაწილეობა. ამისათვის ყოველს სკოლას ექიმი უნდა ყავდეს და საბჭომაც სავალდებულოთ უნდა მიიწვიოს კრე-ბაზე იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლეთა ფიზიკურ განვითა-რებისა, თუ ვარჯიშობის შესახებ ლაპარაკი ჩამოვარდება.

ამას გარდა, განათლების მინისტრი ავალებს საშუალო სკოლის მთავრობას: ა) გაკვეთილებს შუა შესასვენებელ დროს მოუმატონ. პირველი და მეოთხე შესასვენებელი დრო 10 წუთზე ნაკლები არ უნდა იყოს, მეორე—10-დან 20 წუ-თამდე, მესამე კი—30-დან 40-მდე. პედაგოგიურ საბჭოს ნე-ბა ეძლევა, თუ საჭიროთ დაინახავს, სწავლება დღეში ორ-ჯერ მოხდეს, მაგრამ ისე, რომ პირველსა და მეორეს შუა 2—3 საათი იყოს სადილისათვის და დასასვენებლათ. ეს წე-

სი უთუოთ ყველა სკოლებისათვის ერთნაირათ უნდა იქნეს შემოღებული, თუ რომელსამე ქალაქში რამდენიმე სკოლაა.

ℊ) კვირა-უქმეების მომდევარ დღეებისათვის მოსწავლეს არ უნდა ქონდეს მეტი სამუშაო, რადგან ამ დღეებში საჭიროა მოსწავლემ მართლა კარგათ შეისვენოს.

დ) თუ პედაგოგიური საბჭო შესაძლებლათ დაინახავს, სადილს შემდეგაც შეუძლიათ მოიწვიონ მოსწავლენი და მოამზადებიონ გაკვეთილი.

ე) სკოლის მთავრობა მოვალეა ისე მოაწყოს საქმე, რომ მოსწავლეებს სკოლაშივე ქონდეთ საუზმე ცხელი საჭმელებისა, ან ჩაი. საუზმე რაც შეიძლება იაფ ფასათ უნდა მოახერხონ.

ფიზიკურ ვაჯიშობის შესახებ მინისტრი ავალებს: ა) მოძრავი თამაშობა გამართონ სკოლებში; ამას გარდა, დაბალ და საშუალო კლასებში კარგია სამხედრო გიმნასტიკის შემოღება. უფროს კლასებში სხვა და სხვა იარაღებით ვარჯიშობა უნდა იქნეს შემოღებული; ბ) ფიზიკური ვარჯიშობა უთუოთ ყოველ დღე უნდა იყოს ნახევარი საათი მაინც, მაგრამ ისე, რომ ყველა გაკვეთილებ შუა მოხდეს; ყოვლათ შეუძლებელია პირველ ანუ უკანასკნელ გაკვეთილზე ავარჯიშონ მოსწავლენი; ℊ) სათამაშოებსა და გიმნასტიკას გარდა, კარგია ყინულზე ცურაობა, წყალში ცურაობა, ველოსიპედით სიარული, ხელ-საჭე, ცეკვა სიმღერა და მუსიკის სწავლება.

მინისტრი ავალებს სკოლის ადმინისტრაციას, ფრთხილათ იყავით ფიზიკურ ვარჯიშობის შემოღებაში, რომ სუსტი, ან ავადმყოფობისაგან დასუსტებული მოსწავლე საფრთხეში არ ჩავარდეს, უარესი არ დაემართოს; ამიტომ ასეთი მოსწავლენი მხოლოთ სასკოლო ექიმის ნებართვით უნდა მიიღებდენ ფიზიკურ ვარჯიშობაში მონაწილეობას. საზოგადოთ ფიზიკური ვარჯიშობით არასოდეს ძალა არ უნდა დაატანოთ მოსწავლესაო—ავალებს მინისტრი—და ყოველთვის ისე უნდა ავარჯიშოთ იგი, როგორც ამას მოსწავლის ბუნება მოითხოვსო. თუ მოსწავლე ხალისიანათ არ მოეკიდება ამ ვარჯიშობას, იმ შემთხვევაში ვარჯიშობა უნაყოფოთ ჩაივლის მოსწავლისათვისაო.

საზღვარ-გარეთ.

ოსმალეთი. ბაღდადის რკის გზის გაყვანის შესახებ შეთანხმებაზე ხელი მოაწერეს საფრანგეთის და გერმანიის საზოგადოებამ. ორივე მხარე თანასწორათაა დაკმაყოფილებული.

თხუთმეტ აგვისტოს ხელი მოაწერეს ოსმალეთსა და სპარსეთ შორის დროებით სავაჭრო ხელშეკრულებას.

ინგლისი. გიბრონ ბოუსი დაეკითხა პალატას წერილით: იცის რამე თუ არა ინგლისის მთავრობამ შესახებ იმისა, რო რუსეთმა დაავალა ოსმალეთს დაადოს ხარჯი იმ საქონელს, რომელიც ბრიტანიის ინდოეთიდან მიდის ოსმალეთში? ლორდმა ბალფურმა განაცხადა, რომ ამის შესახებ ინგლისის მთავრობას არა გაუგია რა. ხოლო, ამბობს ლორდ ბალფური, ის კი ცნობილია, რომ რუსეთსა და ოსმალეთს განზრახვა აქვთ განიხილონ სადამოკონო გადასახადი; და ზოგიერთი განზრახული გადასახადი. მართლაც დიდ ზარალს მოუტანს ბრიტანიის ინდოეთის საქონელს. ინგლისის მთავრობამ უკვე აცნობა ეს ბრიტანიის ინდოეთის მთავრობასო,

საფრანგეთი. როგორც მკითხველებმა უწყიან, საკონგრეგაციო დაწესებულებათა დახურვამ ბევრი უსიამოვნობა გამოიწვია პარიჟსა და ბრეტანში. ამის გამო პარიჟელ სოციალისტთა და რესპუბლიკანელთა რამოდენსაც ჯგუფს აზრათ მოსვლია სეკდემბრის 8-ს კიდევ განიმეორონ მანიფესტაცია ,,რესპუბლიკის დღესასწაულისა'', რომელიც ამ სამეს წლის წინათ მოხდა. მოსამზადებელ კრებაზე, რომელსაც 25 სხვა-და-სხვა ჯგუფი დაესწრო, არჩეულ იქმნა ორგანიზაციის კომიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა და ეკონომიური პიროგანი.

პარიზელ პროფესორ რენარის ,,მეცნიერული მეტოდი ლიტერატურის ისტორიაში''.

(გაგრძელება იხ. № 36).

იბადება ახალი ხანა, გავიხსენოთ დიდსახელოვანი და ნაადრევი მცნებები აბატ სეი-ტიერისა. ფონტენელი პლატონისებურათ გვიხატავს იდეალურ სახელმწიფოს.

გადაშინჯეთ იმ დროის ფილოსოფია: აქ იგივე წინაღმდეგობაა ჩვეულებრივ მორალისადმი. დაბოლოს არ დაზოგეს ლიტერატურაშიაც უწმინდესი კანონები არისტოტელისა და ბუალოსი. თხოულობდენ, რომ ტრაგედიები იწერებოდენ პროზით, დასცინოდენ ძველათ დაწერილებს. ერთი სიტყვით ყველგან და ყველასაგან მოისმის წინაღმდეგობის ხმა, მხოლოთ ჯერჯერობით გაუბედავათ. უპირველესი მიზეზი ყველა ამისა საფრანგეთის ეკონომიურათ დაცემაა. გადაავლეთ თვალი საფრანგეთის წარსულ ეპოქებს, საფრანგეთის მე-XIV-ტე საუკუნის ბოლოს და მე-XV-ის დასაწყისს. ამ ხანაში იხრწნება ფეოდალური რეჟიმი და ეს თვით საფრანგეთის არსებობასაც კი განსაცდელში აგდებს. საფრანგეთი ერთსა და იმავე დროს გათახსირდა ინგლისელების თავდასხმით და, რაც უფრო უარესია სახელმწიფოსთვის, მოქალაქეობრივ ომებით. იმ დროის ომები ახლანდელ ომებზე უფრო დამღუპავი იყო. გლეხები გარბოდენ ან ტყეში ან თავს აფარებდენ გამაგრებულ ქალაქებს, ხოლო, როგორც ერთი ხრონიკორი ამბობს, რაც კი რამ ებადათ სტოვებდენ ღვთის ანაბარათ, ისინი აღარა თესავდენ, არ ხნავდენ, რადგან არ იყვენ დარწმუნებული, რომ თვის ნაშრომს თვითვე შეკრებდენ.

განა შესაძლებელია ამისთანა დროში შესანიშნავი და გამოჩენილი ნაწარმოები! დიახ, ამ დროს ჩვენ ვხედავდით მხოლოთ რამდენსამე პაწია ლექსს, ან ელეგია—ბალადებს, რომელთაგან, ერთი უფრო ყველაზე პოპულიარული, ყოველი სტრიქონის შემდეგ ასე თავდება: ,,ეს სულ ფულია! ეს სულ ფულია!?. იმ დროის ლიტერატურის ისტორია სამწუხარო შთაპეჭდილებას ახდენს. საფრანგეთი, რომელიც ასი საუკუნის წინეთ აოხებდა მთელს ევროპას თვისი მოთხრობებით, რომანებით, პოემებით, ეხლა კმაყოფილდება მხოლოთ ძველი ლექსების პროზათ გადმოღეჭვით და ძველის განმეორებით. თვით ენასაც ემჩნეა საზოგადოებრივი ცხოვრების დაცემაც. ფრანგულ ენას დაემართა იგივე, რაც მოუვიდა ლათინურს ბარბაროსების თავდასხმის დროს. არაერთარი წესი არ იყო დაცული. თანამედროვე ხელნაწერები სავსეა შეუწყნარებელი შეცთომებით. ენაში, ნამდვილი ანარხია გამეფდა, რომელიც გზას უბნევდა არამც თუ გადამწერებს, არამედ მწერლებსაც.

არა თუ მარტო სახელმწიფოს კეთილ მდგომარეობას აქვს გავლენა ლიტერატურაზე, არამედ თვით იმ დარგსაც წარმოებისას, რომელსაც უჭირავს უპირველესი ადგილი ამ სახელმწიფოში. დიდი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურის ისტორიკოსისათვის, რომელი დარგი წარმოებისა არის გამეფებული ხალხში: მიწათ-მოქმედება, ვაჭრობა, თუ ინდუსტრია?

ერის ცხოვრებაში არის ხოლმე ხანა, როდესაც მიწათ-მოქმედება სჭარბობს, არის ხანა, როდესაც ეს წარმოება უფრო სუსტია. ასე, მაგალითათ, სარწმუნოების გამო კათოლიკეთა და პროტესტანტთა შორის ომის შემდეგ მე-XVI-ე საუკუნეში.

№ 37—1902 წ. ‌ ‌ ‌

როდესაც დამნაშავე თანასწორ წოდებას ეკუთვნის, არამედ მაშინაც კი, როდესაც იგი ბატონია. ჩვენ ვიცით საშვალ. საუკუნოების ისტორიიდან, თუ რამდენ სიმხეცეს ჩადიოდა გალაღებული ფეოდალი დაბალ წოდების ქალის წინააღმდეგ. დასავლეთი ევროპა იძლევა ამ მხრივ უთვალავ შემაძრწუნებელ მაგალითებს. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ფეოდალებიც არ იყვენ უცოდველნი ზნეობრივათ, ისინიც კრავდენ ხოლმე წიხლს სხვისი ქალის შეუხებლობის მცნებას. სხვაც რომ არ იყვეს თვით 42 მუხლის მოვლინება ვახტანგის სამართალში ამტკიცებს ჩვენს აზრს. ეს მუხლი ვახტანგის სამართალში მით უფრო საგულისხმოა, რომ გლეხის მორჩილება ბატონის წინაშე თითქმის განუსაზღვრელია იმავე სამართლის ძალით. მე-95-ტე მუხლი გვეუბნება, რომ გლეხს არა აქვს უფლება წინააღმდეგობა გაუწიოს თავის ბატონს მაშინაც კი, როდესაც იგი „აწამებს ან ასახიჩრებს" მას, ამ შემთხვევაში ბატონის დასჯა დამოკიდებულია მეფისაგან, ან კათალიკოსისაგან. სწორეთ ასეთს ხანაში ვახტანგი აკანონებს, რომ გლეხს შეუძლია არამც თუ წინააღმდეგობა გაუწიოს ბატონს, არამედ კიდევაც მოკლას, თუ იგი მოისურვებს მისი ოჯახის გაუპატიურებას. ჩანს ამ ბოროტებას დიდი ალაგი ქონია ერის ცხოვრებაში, როდესაც მეფე ასე თავგანწირულათ ებრძვის მას,—ვამბობთ „თავ-განწირულათ" მიტომ, რომ იმ დროში ასეთი პრინციპის აღიარება ღვთის გმობათ უნდა ყოფილიყო მიჩნეული. ერთი სიტყვით, ფაქტი იმ დროისათვის დიდ-მნიშვნელოვან— და პროგრესიულ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს.

ვინ მოთვლის, რამდენი ტანჯვა გამოუცდია სუსტ არსებას-ქალს ქმრის მტარვალობისაგან, იყო დრო, როცა ქმარი ცოლის სულის და სხეულის განუსაზღვრელ ბატონათ ითვლებოდა. ის არ იყო პასუხის-მგებელი მაშინაც-კი, როცა კლავდა ან მიყიდიდა თვის ცოლს უცხო ტომთ. მეფე ვახტანგის დროს სასტიკათ იყო აკრძალული ასეთი მხეცური საქციელი. სამართლის ძალით, თუ ქმარმა ცოლი მოკლას უდანაშაულოთ, ნოვალეა მთელი სისხლი დაუუროს მოკლულის მშობლებს, ამის გარდა მას მართებს ცოდვის მონანება კათალიქოსის ბრძანებით (62). თუ ვინიცობაა ქმარმა დასჭრას ან დაასახიჩროს თავისი ცოლი, იგი მოვალეა უზღოს უკანასკნელს ნახევარი საურველი (63). მეფე ვახტანგი ცოლ-ქმარ შუა მომხდარ უბრალო უთანხმოებასაც-კი აქცევს ყურადღებას. თუ ქმარი „მტარვალურათ ეპყრობა ცოლს, ან ექცევა მას „უპატრიოსნოთ და უნამუსოთ", მეფეს შეუძლია დაატყვევოს ასეთი უდიერი ქმარი, საყვედური უთხრას მას და დასაჯოს [1]) ცოლ-ქმარ შუა უთანხმოებათა შესახებ „სამართალი ეკუთვნის კათალიკოსს" (64) ამგვარათ ქალის მდგომარეობა ცოტაოდნათ მაინც ადამიანურ კალაპოტში დგება,— მისი ტანჯვა-წიწკნა ცოტა არიყვოს შეუძლებელი ხდება ჯანით ძლიერი სქესისაგან, რადგანაც კანონ-დება ქომაგობას უწევს მას. სახელმწიფო არ კმარობს ადამიანთა საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა წეს-რიგში მოყვანის, მას სურს დაუქვემდებაროს თავის კომპეტენციას ოჯახობრივი დამოკიდებულებანიცა. აქედან ოჯახის წევრთა შორის მომხდარ უთანხმოებას და დანაშაულს იგი ანიჭებს საჯარო ხასიათს; მას ესმის, რომ თვით-ნებობა ოჯახისა მოასწავებს სამეფოს სისუსტეს, ერთი სიტყვით, ის ცდილობს ოჯახის მრავალ-ფეროვება დაუქვემდებაროს სახელმწიფოს ერთფეროვნებას და მით მთელი ერის ძალნი მიმართოს ერთი მიზნისაკენ.

ვახტანგის სამართალი იხსენიებს ქმრის მკვლელობას ცოლისაგან საწამლავით, თუ რაიმე სხვა სა[illegible] ლოთ ამ შემთხვევაში დამნაშავე ცოლს მი[illegible] სჯელი, რომელსაც განსაზღვრავს პირდაპირ მეფე. „ჩვენ დროს რომ მოხდეს—ამბობს სამართალი—ასეთი დანაშაული, რისგან ღმერთმა დაგვიფაროს, მოვიქცეოდით თანახმათ ჩვენი შეხედულებისა" (65). როგორც ხედავთ, სამართალი არ აწესებს არავითარ სასჯელს ამ დანაშაულისათვის და მისი გადაწყვეტა შეუძლია მარტო მეფეს [2]). მეფე ვახტანგი ამგვარათვე განუსაზღვრელათ სტოვებს ისეთს დანაშაულს, როგორიც არის მეფის, კათალიქოსის და მემკვიდრეს მკვლელობა: „ხოლო მეფის, კათალიქოსის და მემკვიდრის შესახებ ჩვენ არაფერს არ ვაწესებთ" (33). ეს გარემოება ჩვენ გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ ქმრის მკვლელობა ცოლისაგან საშინელ დანაშაულს წარმოადგენს კანონ-მდებელის თვალში. აქ ცხადზეთ უცხადესია ქმრის მიუწდომელი, თითქმის მეფური უპირატესობა ცოლთან შედარებით [3]). ქმრის გალახვა და დაჭრისათვის ცოლს მოელის „უსასტიკესი დასჯა კათალიკოსისაგან" (65). ვახტანგის ასეთი შეხედულება ცოლის დანაშაულზე ქმრის წინააღმდეგ არ არის გასაკვირველი, ეს მით უმეტეს, რომ ჩვენ დროშიც ვერ განვთავისუფლებულვართ სრულათ მისგან. პირიქით ვახტანგის მსჯელობა ქალების შესახებ ჩვენ მიგვაჩნია ფრიად პროგრესიულათ იმ დროისათვის. ამის დასამტკიცებელი საბუთი მკითხველს მრავალი შეხვდება ქვევით.

სამართალი იცავს ქალის ზნეობის შეულახაობას ქმრისაგან. თუ ქმარმა ჯვარის წერის შემდეგ დაწამოს ცოლს, ვითომ მას უმანკოება დაეკარგოს ქალიშვილობის დროს, დაწამებული ცოლი შემოწმებულ უნდა იქნას ქალთაგან, და თუ დაამტკიცა და უბრალოდ ცილის-წამებაა მაშინ „ქმარს ცემონ შეუბრალებლათ" და გადახდეს მას ცოლის სასარგებლოთ 100 დრახმა (სომხ. სამარ. 180). თუ ვინიცობაა ქმრის სიტყვები მართალი გამოდგა, მაშინ ცოლი წამების ღირსია, ხოლო ქმარს ეძლევა უფლება განაძევოს იგი თავის სახლიდან (სომეხ. სამარ. 180). ამ მუხლის მეორე ნაწილი ნათლათ გვიმტკიცებს საზოგადოთ მამა-პაპათა შეხედულებას ქალის და ვაჟის უმანკოებაზე. ის, რაც ნებადართულია ვაჟისათვის, საშინელ დანაშაულათ ეთვლება ქალს. განა ახლაც ისე არ არი? ეს მსოფლიო ანომალია ყველასათვის ცხადია, ამის შესახებ დაწერილა მთელი ტომები, ჩვენც ამიტომ მეტათ მიგვაჩნია მასზე სიტყვის გაგრძელება.

ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ, რომ საქართველოში კანონმდებელთა დროს მტკიცეთ იყო დამკვიდრებული მონოგამიური ოჯახი, რომ თანამედროვე ოჯახის ფორმა იმდენათ ქონდა შესისხლხორცებული ერს, რომ მისი ცოტაოდნათ შერყევა მაშინვე იწვევდა მრავლისაგან მრავალ რეპრესალიებს საერო თუ სასულიერო მთავრობისაგან. მიუხედავათ ამისა, იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ეს საერთო სავალდებულო კანონი აუტანელი ხდებოდა ზოგიერთ ოჯახთათვის, რის გამო მთავრობა იძულებული იყო დროებით დაევიწყებია ოჯახის შეურყევლობის აბსოლიუტური ხასიათი და მით ზოგიერთი ოჯახობრივი დამოკიდებულებანი განესაზღვრა დროს და გარემოებათა შესაფერათ. კანონ-დებაც სწორეთ მაშინ ატარებს ღირსეულათ თავის სახელს, როცა ის არ წარმოადგენს უსულო დოგმატს, რომელიც სიტყვა-სიტყვით

[1]) სომეხთა სამართალი პირდაპირ ამბობს, რომ ქმარს არა აქვს უფლება გააგდოს თავის ცოლი სახლიდან, თუ კანონიერი მიზეზი არა აქვს ამისთვის (87).

[2]) შენიშ. ბერძენთა კანონები აწესებენ თავის მოკვეთას ცოლის ან ქმრის მოწამლისათვის (360).

[3]) სომეხთა სამართალი პირდაპირ ამბობს: „ქმარს ყველაფერში ცოლზე დაუფლება უნდა ქონდეს" (156).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

უნდა სრულდებოდეს ადამიანთაგან. ერის მეთაურნი არას დროს არ უნდა ივიწყებდენ, რომ კანონი უნდა ემსახურებოდეს ცხოვრებას და არა წინაღმდეგ ამისა, ცხოვრება-კანონს.

როგორც ვიცით, მართლმადიდებელი ეკლესია წმიდა საიდუმლოთ აღიარებს ჯვარის-წერას. ამ სარწმუნოებრივ შეხედულებას დიდ მფარველობას უწევდა მეფე, განსაკუთრებით სამღვდელოება. ამიტომ კანონ-მდებელს არ შეეძლო გულ-გრილ მოწმედ ყოფილიყო, როდესაც ხედავდა, ცოლ-ქმარ შორის კავშირის შესუსტებას, თუ გინდ ეს არა სასურველი მოვლენა გამოწვეული ყოფილიყო საპატიო მიზეზებისაგან. აღბუღა არა სჯერდება სხვის კანონიერ ცოლის წამგვრელის ნივთიერათ დასჯას, იგი ამბობს: ,,წყეულიმც იყოს იგი ღვთისაგან და გმობილი წმინდა მოციქულთა წესისა-მებრ', (166). ქათალიკოსთა სამართალი ამბობს: ,,ვინც დაუტევოს ცოლი თვისი უკანონოთ, წყეულიმც იყოს წმინდა მოციქულთაგან და დასჯილი სიკვდილით (22). მეფე ვახტანგის სამართალი ᲐᲠᲪ-კი ჩამოურჩება პირველ ორს ამ მხრივ: ,,რამდენადაც უნდა სძაგდეთ ცოლ-ქმარს ერთმანეთი მათ არ შეუძლიათ გაყრა'' (66).

ასე თუ ისე ცოლ-ქმარ შორის კავშირის შეწყვეტა ფაქტიურათ ხდებოდა ცხოვრებაში, ამიტომ საჭირო იყო ამ მოვლენის გამომწვევ მიზეზების ჯეროვნათ გამორკვევა.

გიორგი ბრწყინვალეს და აღბუღას სამართალი მხოლოთ გაკვრით შეეხებიან ცოლ-ქმარის გაყრას. იმ დროს, როდესაც ხსენებული სამართალნი იწერებოდენ (XIII-XIV ს.), ცხოვრება არ იყო იმდენათ განვითარებული, რომ ყველა ოჯახობრივი დამოკიდებულებანი სავსებით ყოფილიყვენ გარკვეული კონონ-მდებელთაგან. პირდაპირ გაყრაზე ლაპარაკი, როგორც იურიდიულ ინსტიტუტზე, შეუძლებელი უნდა ყოფილიყო მაშინ. მასთან თვით კანონ-მდებელთა შეხედულება ცოლ-ქმარის განშორებაზე მეტის-მეტი ცალ-მხრივია. ჩვენ ვკითხულობთ გიორგი ბრწყინვალეს სამართალში: ,,თუ ქმარმა უდანაშაულოთ დაუტევოს ცილი თვისი და გაეყაროს მას, დაუურვოს ნახევარი სისხლი დაიცის გვარსა ზედა'' (21). აღბუღა იმეორებს ამავე აზრს და დასძენს, სხვათა შორის, შემდეგს: თუ ცოლმა გულ-მოსულობის დროს უთხრას ქმარს მოწმეთა თანადასწრებით, რომ ის მრუშებას ჩადის სხვის ცოლთან და ამიტომ ქმარი გაეყაროს მას, უკანასკნელის მშობლებს არა აქვთ უფლება მოთხოვონ სიძეთ-ნამყოფს სისხლის დაურვება (51); თუ ქალი ბნედიანი და მანკიანი გამოდგა ჯვარის დაწერის შემდეგ, ქმარს არა აქვს უფლება უსაყვედუროს სიდედრ-სიმამრს ამისათვის, მხოლოთ თუ ვინიცობაა მან მოისურვა ცოლთან გაყრა, უნდა დაკმაყოფილოს უკანასკნელი ფიცით, რომ იგი არა სიძულვილის მიზეზათ სტოვებს მას (114). ზემო მოყვანილ მუხლებისაგან ჩვენ გვეძლევა უფლება გამოვიყვანოთ ორი ფრიათ საყურადღებო დასკვნა: ერთი მხრით, ცოლ-ქმარის ერთმანეთისაგან განშორება შეიძლებოდა მრუშების და ცოლის დასნეულების მიზეზით, მეორე მხრით, გაყრის უფლება ქონდა ქმარს, ცოლი კი მოკლებული იყო ამ უფლებას. ბექა პირდაპირ ამბობს ამის შესახებ ერთ ალაგას: ქალს არა აქვს უფლება პირველმა დაუტევოს ქმარი თვისი, ,,თუ სადმე დააგდოს და ღმერთი შერისხდეს მისითა ენა-ჭრტიალებითა უსირცხვილობითა'', დაუურვოს მას ერთი სისხლი (33). ვინ წარმოიდგენს, რა ტანჯვა-ვაებას გამოცდიდა საბრალო ქართველი ქალი იმ შემთხვევაში, თუ მას არგუნებდა ბედი სულით ხორციან ბოროტ ქმარს,—ერთათ-ერთი რადიკალური საშვალება გაყრა მისთვის აღკრძალული იყო.

ა. ჩხენკელი.

(შემდეგი იქნება).

მონოგა და ბატონ-ყმობა.

(ანრი სეის „Les classes rurales" დან).

ფრიად საინტერესოა სოფლელთა მდგომარეობა საუკუნო საუკუნოებში, ამ გვარადვე საინტერესოა მაშინდელი დომანიალურის წყობილების ბუნების დაახლოებით გაცნობა. ამისათვის აუცილებლათ საჭიროა ნათლათ გავითვალისწინოთ თუ როგორ წარმოიშვა და განვითარდა ეს წყობილება. რა უფრო ნათლათ ახასიათებს საშუალო საუკუნოებს?—ბატონყმობა. რომელი ინსტიტუტია ძველი დროის საუკეთესოთ დამახასიათებელი?—მონობა. როგორც მონობა თან და თანი ევოლიუციით ბატონყმობათ გარდაიქცა, ისე საშუალო საუკუნოების საზოგადოებრივი ცხოვრება აღმოცენდა უმთავრესათ ძველი დროის საზოგადოებრივი წყობილებაზე. რაც დომინალურ წყობილებას შეეხება, მისი ფესვები ასევე შორეულ საუკუნოებშია გადგმული. მართალია ეს წყობილება მხოლოთ საშუალო საუკუნოებში აყვავდა სავსებით, მაგრამ მისი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშნები ჯერ კიდევ რომის იმპერიის დროს სჩანდა. საყოველთაოთ და განუწყვეტლათ მომქმედნი ეკონომიური მოვლენებმა შექმნა ეს რეჟიმი. საშუალო საუკუნოებში, როგორც ძველ დროში, ყოველ გვარი საზოგადოებრივი დაწესებულებანი დამყარებულ იყვენ ოჯახის და საკუთრების ორგანიზაციაზე; ხასიათი ამ ორგანიზაციისა ისეთივე იყო, როგორც ძველს საბერძნეთში და რომის იმპერიაში. ეს ორგანიზაცია იმდენათ შეურყეველი და სიცოცხლის მქონე შეიქმნა, რომ მან გაძლო მრავალი საუკუნოები და ჩვენს დროშიაც არ გამქრალა სავსებით.

I.

ისტორიის პირველ პერიოდიდანვე საბერძნეთში ჩვენა ვხედავთ ოჯახს უკვე მტკიცე ნიადაგზე დამყარებულს. როგორ დამყარდა ეს წყობილება. აქ ჩვენ არ შეგვიძლია ამ კითხვის თავიდან ახსნა-განმარტება. ცნობილია ფიუსტელ-დე-კულანჟის თეორია, რომელიც ცდილობს ოჯახის ორგანიზაცია ახსნას წინაპართა კულტით. მართალია ეს თეორია შეიცავს ბევრ ღრმა და ჭეშმარიტ აზრს, მაგრამ ოჯახის ორგანიზაციას მაინც ვერ ხსნის. მხედველობაში უნდა მიღებულ იქნას აგრეთვე ეკონომიური მოთხოვნილებანი. არსებობისთვის ბრძოლაში ოჯახი შეადგენს ბუნებრივ ჯგუფს, და როდესაც ჯერ კიდევ არავითარი საზოგადოებრივი ავტორიტეტი არ არსებობდა, იგივე ოჯახი (ყოველ ეჰვს გარეშეა) შეადგენენ პირველ პოლიტიკურ ორგანიზაციასაც. ადვილი შესაძლებელია, რომ საკუთრების რეჟიმი დაიბადა ოჯახის ორგანიზაციიდან ოჯახს მხოლოთ იმ შეეთხვევაში შეუძლია განამტკიცოს თავისი არსებობა, როდესაც ის უზრუნველ-ყოფილია არსებობისთვის საჭირო სახსრის მოპოვებაში: ასეთ სახსარს დიდი ხნის განმავლობაში შეადგენდა მიწის საკუთრება. ჩნდება ასეთი დიდმნიშვნელოვანი, ძირითადი კითხვა: როგორ გადადიოდა ეს საკუთრება ერთიდან მეორეზე? ჩვეულება, რომლის მეოხებითაც მამის ქონება მემკვიდრეობით შვილებზე გადადის, გაჩნდა ძალიან ადრე, მაშასადამე ის ერთი უძველესი დაწესებულებათაგანია, რომელიც განაგრძობს არსებობას საუკუნეთა განმავლობაში. ამ ნაირათ გაჩნდა და დაფუძნდა მემკვიდრეობითი სიმდიდრე. ამ ქონების პატრონებისაგან შედგა მაღალ წოდება, არისტოკრატია, რომელიც თავიდანვე ბატონურათ მოქმედებდა. ეს არისტოკრატია იგივე მიწის მესაკუთრეა. მიწის მესაკუთრეთა ყოველთვის განსაკუთრებული უფლება ქონდათ ვიდრე სხვებს მართვა-გამგეობაში ხალხი იღებს მონაწილეობას მხოლოთ იმ ქალაქებში სადაც მან მიწა შეიძინა. ამას იწვევს ერთი პრაქტიკული აუცილებლობა: საზოგადო სამსახურის შესასრულებლათ საჭიროა თავისუფლება და ზუ-

რუნველ-ყოფლობა, რომელთაც მხოლოთ მიწის მფლობელობა იძლევა. საბერძნეთის მოქალაქის თავდაპირველი მოვალეობა იყო თავის დაცვა ხმლით ხელში; ომისთვის-კი საჭიროა, მეომარი თავისუფალი იყოს ყოველგვარი შრომისაგან. მიწის ექსპლოატაცია ასეთია ამ ხანაში იშვიათია, რომ მიწის პატრონი თვითონ ამ უშავებს თავის მამულს. საბერძნეთის ქალაქებში მცხოვრებნი განიყოფებიან ორ უმთავრეს კლასათ: ერთი არის მმართველი და მეომარი, მეორე თავისი შრომით არჩენს მთავრობას და მხედრობას ასეთივე კლასიფიკაცია არსებობს საშუალო საუკუნოებში და რამოდენიმეთ ამასვე ვხედავთ დღესაც. შესანიშნავია ის ფაქტი, რომ საბერძნეთის საზოგადოებაში მშრომელი კლასი შედგება და იმ ელემენტებიდან, და კატეგორიებიდან, რომელნიც თითქმის სრულის მსგავსებით აღორძინდენ რომის იმპერიის დროს; ამათ ჩვენ ხელახლა ვხედავთ, მიუხედავათ ღრმა ცვლილებებისა, ფეოდალურ ეპოქაშიაც. ესენი უმეტეს ნაწილათ არიან მონები, რომლებიც ამუშავებენ მიწას თავის პატრონის სასარგებლოთ, მის ან (ეს უფრო ხშირია) მოურავის და მმართველის ზედამხედველობის ქვეშ მოურავი ან მმართველი უმეტეს ნაწილათ ჩამომავლობით მონები არიან. ასეთია ყველაზე გავრცელებული მიწის დამუშავების წესი ძველ საბერძნეთში.

მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა მიწის მომუშავე როდია მონა? ყმები უკვე მოიპოვებიან ჰომეროსის ეპოქის შემდეგ. მათშორის ურევიან განთავისუფლებულნი (affranchis), რომელთაც ბეტონისაგან ეძლევათ თავის გამოსაკვებათ საკმარისი მიწა. ამ უკანასკნელთა შორის შეხვდებით თავისუფლებასაც მაგრამ ყოველივე სახსრის უქონლობა მათ აიძულებს ყმობა არჩიონ და შიმშილით სიკვდილს თავი დაახწიონ. გლეხთა წოდებაში ირიცხებოდა ფერმერები და განსაკუთრებით ატიკაში—წვრილი თავისუფალი მესაკუთრენი. მაგრამ წვრილი საკუთრება საბერძნეთის ეკონომიურ ისტორიაში ძალიან მცირე როლს თამაშობს და სულს ძლივს ითქვამს. სხვილი საკუთრება, რომელიც ერთ დროს ის იყო დაქუცმაცების გზას დაადგა, საბერძნეთის დამოუკიდებლობის უკანასკნელ ხანებში თითქმის ყველგან ხელახლა გამაგრდა. ამის მიზეზებათ უნდა ჩაითვალოს: ხალხის შემცირება, ემიგრაცია და ის დავალიანება, რომელიც წვრილი მესაკუთრე პროლეტარათ აქციონ. მოკლეთ რომ ვთქვათ, აი საბერძნეთის მაშინდელი ცხოვრების ორი უმთავრესი დამახასიათებელი ფენომენი: 1) მიწის მუშაობის წესის წყალობით კეთილშობილნი თავისუფალნი არიან ყოველ-ვვარ ზრუნვისაგან; არისტოკრატია სარგებლობს იმ უპირატესობით, რომელსაც მას აძლევს კეთილშობილება და ქონება; ის ფლობს თითქმის ყველა სახნავ-სათეს მიწებს, მისგან დამოკიდებული არიან ყველა ღარიბი; და რადგანაც ის საუკეთესოთაა შეიარაღებული და ლაშქრობაში გაწვრთნილი, მას ვერ ძლევს ვერავითარი რევოლიუცია და ამ ნაირათ სხვილი საკუთრება ხელ-უხლებელი რჩება.

(შემდეგი იქნება).

მასწავლებელი.

(ა. ჩეხოვისა).

თედორე ლუკასძე სისოევი ,,კულიკინის შვილების მანუფაქტურის" ქარხნის სკოლის მასწავლებელი სადღესასწაულო სადილისთვის ემზადებოდა. ეგზამენების შემდეგ ქარხნის დირექცია ყოველ წელიწადს მართავდა სადილს, რომელზედაც ესწრებოდნენ: სახალხო სკოლების ინსპექტორი, ეგზამენზე დამსწრენი და ქარხნის ადმინისტრაცია. მიუხედავათ იმისა რომ სადილი ოფიციალური იყო, ის ყოველთვის მხიარულათ იწყებოდა და თავდებოდა; მასწავლებლები, დაივიწყებდნენ რა ჩინის პატივის ცემას, ახსოვდათ მხოლოთ თავიანთი შრომა, ლაზათიანათ გამოძღებოდნენ, ლამაზათ ჩათვრებოდნენ, ლაზღანდარობდნენ და დაიშლებოდნენ ძალიან გვიან; ხმაური სიმღერის და ტლაშა-ტლუშის ხმა ქარხნის არე-მარეს აყრუებდა. ასეთ სადილებს, ქარხნის სკოლაში სისოევი მოსწრებია ცამეტს. ეხლა ემზადებოდა მეთოთხმეტეზე და ცდილობდა რამენაირათ უფრო მხიარული, ნამდვილი სადღესასწაულო სახე მიეღო. მთელი საათი ასუფთავა ტანისამოსი, თითქმის იმდენსავე ხანს სარკის წინ იდგა და ახალ მოდის პერანგს იცვამდა. ძლიერ გაუჭირვეს საქმე სისოევს ზაპონკებმა; ამან გამოიწვია ერთი ალიაქოთი, მუქარა-კადილი ცოლზე. საწყალი ცოლიც დაიღალა ქმარის მორთვა-მოკაზმვაში. თითონ სისოევიც დასუსტდა: როდესაც გაწმენდილი ფეხსაცმელი მიართვეს, ვერ შეძლო ჩაცმა. ცოტა ხანს მიწვა და წყალით გული გაიგრილა.

— როგორ დასუსტდი! ამოიოხრა ცოლმა.—უმჯობესი იქნება სულ არ წახვიდე დღეს იმ სადილზე.

— გთხოვთ რჩევებს თავი დაანებოთ! გააკმენდია ხმა ცოლს გულ მოსულმა მასწავლებელმა.

— ის უკანასკნელი ეგზამენებით უკმაყოფილო, რაღაც ცუდ გუნებაზე იყო. ეგზამენებმა ჩინებულათ ჩაიარა, უფროსი განყოფილების ყველა შაგირდები, მოწმობის და საჩუქრის ღირსათ იცნეს; მთავრობა ქარხნისა სრული კმაყოფილი დარჩა ნაშრომით, მარა მასწავლებელს ეს ეცოტავებოდა. მას ენანებოდა, რომ მოსწავლე ბაბკინმა, რომელიც მუდამ შეუცდომლათ წერდა, საეგზამენო დიკტანტში სამი შეცდომა გაუშვა; მოსწავლე სერგეევი ისე აღელდა, რომ ვერ შესძლო 17-ს 13-ზე გამრავლება; ინსპექტორმა, ახალგაზდა გამოუცდელმა კაცმა, ,,დიკტანტისთვის" ძნელი სტატია აარჩია; მეზობელ სკოლის მასწავლებელი ლიაპუნოვი, რომელსაც ინსპექტორმა სთხოვა უკარნახეთო, ვერ მოიქცა ,,ამხანაგურათ": დიკტანტის დროს ისე როდი ამბობდა სიტყვებს, როგორც იწერება—თითქოს ყლაპავდა. ჩაიცვა რა მასწავლებელმა ფეხზე ცოლის დახმარებით, ერთი კიდევ ჩაიხედა სარკეში, აიღო ხელში თავისი კორძლიანი ჯოხი და გასწია სადილზე. ქარხნის დირეკტორთან, სადაც სადილი იმართებოდა, მასწავლებელს ცოტა უსიამოვნება შეხვდა. მას უცბათ დაახველა... დახველების დროს თავიდან ქუდი გადაუვარდა, ჯოხი ხელიდან გაუსხლტდა. ამ დროს, დირეკტორის სახლიდან გამოვარდნენ მასწავლებლები და ინსპექტორი—სისოევი კი კიბის ქვედა საფეხურზე იჯდა და ოფლში იწურებოდა.

— ფედორ ლუკიჩ! თქვენა ხართ? გაიკვირვა ინსპექტორმა.

— მერმე?

— მერე და თქვენ, ჩემო გერიტო, დღეს სახლში მოგესვენებიათ ჯობდა. დღეს რაღაც სრულიათ შეუძლოთ ხართ...

— დღეს მე ისევე ვარ, როგორც გუშინ ვიყავი. და თუ თქვენ არ გესიამოვნებათ ჩემი აქ ყოფნა, შემიძლიან წავიდე.

— ეხ, რათ ამბობთ ამას, ფედორ ლუკიჩ? რისთვის? გთხოვთ მობრძანდეთ! მიზეზი დღევანდელი ზეიმისა თქვენა ხართ. ჩვენ ძლიერ გვესიამოვნა... მობრძანდით!..

ქარხნის დირექტორის სახლი მზათ იყო სადილისთვის. დიდ ოლეოგრაფიული სურათებით ნემეცურ გემოზე მორთულ სასადილო ოთახში იდგა ორი სტოლი: ერთი დიდი სასადილო, მეორე უმცროსი—საუზმისათვის. ფარდებ ჩამოფარებულ ფანჯრებში ძლივ-ძლივობით იჭრებოდა შუადღის ცხარე მზის სინათლე... ოთახის ბინდი, შვეიცარის ლანდი ფარდაზე, გერანი (ძეძნარეა), საინებზე დაწყობილი წვრილათ დათლილი ძეხვი გამოიყურებოდნენ საუცხოვოთ ქალურ სანტიმენტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურათ და ყველა ეს წაავავდა თვით მასპინძელს, პატარა, რგვალ მუცლიან, თვალებ ცქრიალა ნემეცს. ადოლფ ანდრეიჩ ბრუნი (ასე ეძახდენ მას) ფუსფუსებდა საუზმის სტოლთან, თითქოს პაჟარზეაო, ასხამდა რიუმკებში, ასწორებდა საინებს და ცდილობდა რაც შეიძლება პატივი ეცა, გაემხიარულებია სტუმრები და ეჩვენებია მათთვის კეთილი გული.

— ფეოდორ ლუკიჩ! ვის ვხედავ!—წამოიძახა მან სისოევის დანახვაზე.—ოხ. რა მიამა!—მიუხედავათ ავათმყოფობისა თქვენ მაინც მოხვედით!... ბატონებო, მომეცით ნება გაგამხიარულოთ: ფეოდორ ლუკიჩი მოვიდა!

საუზმის სტოლთან უკვე ირეოდენ პედაგოგები და სჭამდენ. სისოევი მოიხუშა; მას არ მოეწონა, რომ ამხანაგებმა არ დაუცადეს და იმის მოსვლამდე შეუდგენ ჭამა-სმას. მან დაინახა მათ შორის ლიაპუნოვი, თვით ის ლიაპუნოვი, რომელიც ეგზამენზე უკარნახებდა; მივიდა მასთან და უთხრა:

— ეს ვერ არი ამხანაგური! დიახ! ხეირიანი ადამიანი აგრე არ უკარნახებსო!

— ოხ, ღმერთო ჩემო, თქვენ კიდევ იმაზე!..—სახე დაღრეჯით მიუგო ლიაპუნოვმა.—ნუთუ არ მოგბეზრდათ?

— დიახ, კიდევ იმაზე! ბაბკინი არასოდეს შეცდომას არ უშვებდა! თქვენ ისე რატომ უკარნახეთ—მე ვიცი. თქვენ გინდოდათ ჩემი შაგირდები შეგერცხვინათ და თქვენი შკოლა საუკეთესოთ გეჩვენებიათ. ყველაფერი მესმის..

რას ამიხირდით?—ღრენით წამოიძახა ლიაპუნოვმა.—რა ეშმაკათ გადამეკიდეთ?

— კმარა, ბატონებო, კმარა, ჩაერია ინსპექტორი და ისეთი სახე მიიღო თითქო ტირილს ემზადებაო.—განა ღირს ასეთ უბრალოზე გაჯავრება? სამი შეცდომა... არც ერთი შეცდომა... განა ერთი არ არი?

— არა! სულ ერთი არ არი. ბაბკინი ერთ შეცთომასაც არ უშვებდა ჩემთან!

— არ მეთხოვება!—განაგრძო ლიაპუნოვმა.—სარგებლობს თვისი ავათმყოფობით და ყველას კბენს. არა ჩემო კარგო, მე არ მივაქცევ ყურადღებას თქვენს ავათმყოფობას!

— დასტოვეთ ჩემი ავათმყოფობა თავისთვის.—დაიყვირა ბრაზმორეულმა სისოევმა.—რა თქვენი საქმეა? დაიზეპირეს ყველამ: ავათმყოფობა! ავათმყოფობა! ავათმყოფობა! ძალიან კი მესაჭიროება თქვენი თანაგრძნობა! ერთი გამაგებიეთ, ვინ გითხრა, რომ მე ავათ ვარ? ეგზამენებამდი . ვიყავი ავათ, ეს მართალია, ეხლა კი სრულიათ გამოვკეთდი, მხოლოთ სისუსტე დამრჩა.

— მორჩით და მადლობა ღმერთს,—სთქვა სამხთო სჯულის მასწავლებელმა მამა ნიკოლოზმა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, კოხტა-ფრანტ. ანაფორიან მღვდელმა.—უნდა იმხიარულოთ და თქვენ კი გული მოგდით და სხვა იმგვარები...

— თქვენც კარგი რამა ხართ,—გააწყვეტინა იმას სისოევმა.—კითხვები უნდა იყოს სწორი, ნათელი, გასაგები, თქვენ კი სულ გამოცანებს ეუბნებოდით. ასე არ შეიძლება!

როგორც იქნა, საზოგადო ძალით დაამშვიდეს ის და დასვეს სტოლთან. მან დიდხანს არჩია სასმელი, დაბოლოს მიიღო მკვახე სახე, გადაკრა ნახევარი ჭიქა რაღაც მწვანე სასმელი, აიღო ქადის ნაჭერი და ამოაცალა კვერცხი და ხახვი. ქადის პირველივე ლუკმა ძლიერ უმარილო ეჩვენა, წააყარა მარილი, მარა ისევ უკანვე დადო, რადგან მეტი მოსვლოდა, დაემლაშებია.

სადილის დროს სისოევი დასვეს ინსპექტორის და ბრუნის შუაში. პირველი კერძის შემდეგ, დიდი ხნიდან შემოღებული ჩვეულებისამებრ, დაიწყეს სადღეგრძელოები.

ვთვლი სასიამოვნო მოვალეობათ,—დაიწყო ინსპექტორმა,—მადლობა გამოუცხადო სკოლის მზრუნველებს, რომლებიც ეხლა აქ არ არიან—დანიელ პეტროვიჩს და... და... და...

— და ივან პეტროვიჩს... ჩაულაპარაკა ბრუნიმ.

— და ივან პეტროვიჩ კულიკინებს, რომელნიც არ ზოგვენ სკოლის საკეთილდღეოთ არაფერს და ვსვამ მათ სადღეგრძელოს. .

— ჩემის მხრით.—ნაკბენივით წამოიჭრა ბრუნი და სთქვა,—ჩემის მხრით დავლევ დიდათ პატივცემული სახალხო სკოლების ინსპექტორის სადღეგრძელოს, პავლე გენადიევიჩის ნადოროვისას! დაიძრა სკამები, ყველას სახემ გაუღიმა და შეიქნა ჭიქების ჩვეულებრივი ჩხრიალი.

მესამე სიტყვა ყოველთვის სისოევს ეკუთვნოდა. ის ეხლაც წამოდგა, მიიღო სერიოზული სახის გამომეტყველება, ერთი ჩაახველა, თავდაპირველათ გამოაცხადა, რომ მას არ შესწევს ნიჭი მჭერმეტყველობისა და სალაპარაკოთ არც მომზადებულა. შემდეგ მან სთქვა, რომ მისი 14 წლის სამსახურის განმავლობაში ბევრი უსიამოვნება და საწყენი შეხვდა, ბეზღობაც ბევრი დაიწერა მაზე, სთქვა, რომ მან იცის თავისი მტრები და დამბეზღებლები, მარა არ სურს ახლა იმათი დასახელება, რათა ,,მადა არ წაუხდინოს ვისმეს‘‘.

— ყველგან,—განაგრძო მან,—ყველგან მასწავლებლები ღებულობენ 200—300 მანათს და მე კი 500-ს და ამასთანავე ჩემი ბინა საუცხოვოთ მორთული ავეჯებით—რასაკვირველია ქარხნის ხარჯით. წელს კიდევ კედლებზე ახალი შპალიერი გააკრეს...

შემდეგ განმარტა მასწავლებელმა, თუ როგორი უხვი დახმარება მოდის სკოლას, სხვა სკოლებთან შედარებით. და ყველა ამას, სისოევის აზრით, სკოლა უნდა უმადლოდეს არა თვით ქარხნის პატრონთ, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ და ქარხანა ჯერ თვალითაც არ უნახავთ, არამედ იმ კაცს, რომელსაც, მიუხედავათ მისი ეროვნებისა და ლიუტერის სარწმუნოებისა, ნამდვილი რუსული სული და გული აქვს. სისოევმა დიდხანს ილაპარაკა; ისვენებდა ხშირათ და ამიტომ რეჩი გამოვიდა გაჭიანურებული და უგემური. მან რამდენიმე ჯერ ახსენა ვილაც თვისი მტრები, ცდილობდა გადაკრულ ლაპარაკს, იმეორებდა ერთსა და იმავეს, ახველებდა, უშნოთ აფათურებდა თითებს. როგორც იქნა დაიღალა, გაოფლიანდა და მოუკლო ხმას, ხან შეჩერდებოდა და ისე ხმა დაბლა ლაპარაკობდა, რო გეგონებოდათ თავისთვის ფუჩუნებსო. დაბოლოს დაათავა თავისი სიტყვა უშნოთ:

— ამნაირათ მე ვსვამ ბრუნის სადღეგრძელოს, ე. ი. ადოლფ ანდრეიჩის, რომელიც აქაა, ჩვენთან... საზოგადოთ... და აშკარაა...

გაათავა თუ არა სისოევმა თავისი სიტყვა, ყველამ თავისუფლათ ამოისუნთქა, თითქოს ვინმემ გახურებული ჰაერი ცივი წყალის ჰკურებით გააგრილაო. ეტყობოდა, რომ უსიამოვნებას არ გრძნობდა მარტო ბრუნი. ცქრიალა სანტიმენტალური თვალები გაუბრწყინდა, გრძნობიერათ ჩამოართვა ხელი ორატორ სისოევს და ფინიასავით ალერსათ გადაიქცა.

— ოო, გმადლობთ!—მარცხენა ხელი მკერდზე დაიდო და განაგრძო:—მე ძლიერ ბედნიერი ვარ, რომ მიმიხვდით, მიცანით! მე სულით და გულით ყოველივე კარგი მსურს! მარა უნდა შეგნიშნოთ ერთი: თქვენ ადიდებთ ჩემს მნიშვნელობას. თავისი წარმატებით, აყვავებით შკოლა ვალდებულია მხოლოთ თქვენით, პატივცემულო მეგობარო, ფეოდორ ლუკიჩ! უთქვენოთ ის ისეთივე ჩვეულებრივი შკოლა იქნებოდა, როგორიც სხვებია! თქვენ ფიქრობთ: ნემეცი კომპლიმენტებს მეუბნებაო, ხა, ხა, ხა! არა, ჩემო სულო, ფეოდორ

ლუკიჩ, მე პატიოსანი კაცი ვარ და ამ გვარებს არ ვარ ჩვეული. თუ ხუთას მანეთს გაძლევთ თქვენ წელიწადში, მაშასადამე თქვენ ძვირათ ღირებულხართ ჩვენთვის. ასე არ არი? ბატონებო, მე მგონია, მართალს ვამბობ? სხვას ამდენს არ მივცემდით ჩვენ... განა კარგი შკოლა სახელი არ არი ფაბრიკისთვის?

— მე გულახდით უნდა გამოგიტყდეთ, რომ თქვენი შკოლა მართლაც არაჩვეულებრივია, სთქვა ინსპეკტორმა.— არ გეგონოთ პირფერობით ვამბობდე ამას, მეორე ამის გსგავსი შკოლა არ მინახავს ჩემს სიცოცხლეში. სწორეთ განცვიფრდი ემზამენზე... საუცხოოა, ბატონო, როგორი ბავშვები არიან! ბევრი იციან და ცოდნასთან ერთათ უშიშრათ იძლევიან პასუხს: ამასთანავე რაღაც სულ სხვანაირები, უშიშარნი და გულჩვილნი არიან... ეტყობა, რომ თქვენ ძლიერ უყვარხართ ბავშვებს, ფეოდორ ლუკიჩ. თქვენ ძვალიან-რბილიანა პედაგოგი ხართ, თქვენ მასწავლებლათ გაუჩენიხართ განგებას. ყველაფერია თქვენში: თანდაყოლილი მოწოდებაც, ხანგრძლივი გამოცდილებაც და საქმის სიყვარულიც... სწორეთ საკვირველია, რომ ავათმყოფობასთან ერთათ, თქვენ გაქვთ დიდი ენერგია და საქმის ცოდნა... ეს ასე ვთქვათ, გამოცდილება, რწმენა! სასწავლებლის რჩევაზე მართალი თქვა ვილაცამ, რომ თქვენ პოეტი ხართ თქვენი საქმისა... სწორეთ პოეტი!

ყველა ერთხმათ ალაპარაკდა სისოევის არაჩვეულებრივ ნიჭზე. თითქოს გრიგალმა დაბერაო გადმოხეთქა სიტყვების ნაკადულმა; ამბობდენ ისეთ სიტყვებს, რომლებსაც არ იტყვის თავდაჭერილი ადამიანი. დაავიწყდათ სისოევის სიტყვაც. იმისი აუტანელი ხასიათიც და სახის ბოროტი გამომეტყველებაც. ალაპარაკდენ ყველანი, თითქმის ჩუმი და მორცხვი ახალდინიშნული მასწავლებელიც, ეს ღვთის მოსავი, წელმოწყვეტილი ახალგაზდები, რომლებიც ისე არ მიმართავდენ ინსპეკტორს თუ არ ,,თქვენო მაღალკეთილშობილებაო'' აშკარა, სისოევი თავის წრეში დიდი ვინმე პირი იყო.

შეჩვეული 14 წლის სამსახურის განმავლობაში გამარჯვებას და ქებას, ის დამშვიდებული ისმენდა აღტაცებულ გრგვინვას თაყვანის მცემლებისას.

მის მაგიერ ქებით ითვრებოდა ბრუნი. ნემეცი იჭერდა თითოეულ სიტყვას, ბრწყინავდა, უკრავდა ტაშს და მორცხვათ წითლდებოდა, თითქოს ქება მასწავლებელს კი არა, იმას ეკუთნოდა.

— ვაშა! ვაშა! ღრიალებდა ის.—მართალია! თქვენ გამოიცანით ჩემი აზრი!.. საუცხოოა!.. ის მიჩერებოდა მასწავლებელს თვალებში- თითქო სურს გაუზიაროს თვისი ნეტარება. და ბოლოს ველარ მოითმინა, წამოხტა, ჩააჩუმა საერთო ხმაურობა თავისი ხრინწიანი ტენორით და წამოიყვირა:—ბატონებო! მომეცით ლაპარაკის ნება! ტსსს!.. ყველა თქვენს ნათქვამზე შემიძლია გიპასუხოთ მხოლოთ შემდეგი, რომ ქარხნის ადმინისტრაცია არ დარჩება სირცხვილში ფეოდორ ლუკიჩის წინაშე!..

ყველანი გაჩუმდენ. სისოევმა გადახედა ნემეცის ალისფერ სახეს.

— ჩვენ ვიცით დაფასება,—განაგრძო ბრუნიმ სერიოზული სახის გამომეტყველებით და ხმა დაბლა.—ყველა თქვენ სიტყვებზე უნდა მოგახსენოთ, რომ... ფეოდორ ლუკიჩის ოჯახობა მალე უზრუნველყოფილი იქნება—ამ მიზნისთვის შეტანილიცაა ბანკში კაპიტალი.

სისოევი გაკვირვებითი ნიშნათ გადაიქცა და გაშტერებული მოსჩერებოდა ნემეცს და ამხანაგებს; ის ვერ მიმხვდარიყო, რათ იქნება მისი ოჯახი უზრუნველყოფილი და არა ის თითონ? მისკენ მომართულ სახეებზე მან ამოიკითხა არა თანაგრძნობა, სიბრალული, რომლებიც მას ეჯერეს ყოველ, არამედ რაღაც სულ სხვა, რბილი, სათუთი—ასეთ სულ ... ...